№ 25

ფასი 15 მანეთი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

# „თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 300 მან. ცალი ნომერი — 15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ქართ. ბეჭდვითი ამხ. სტამბაში, რუსთ. პრ. № 26

ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. — კვირა, მკათათვის 11 — გამოსვლა 1920 წ.



მგოსანი ი. გრიშაშვილი

ალ. წუწუნავა

ი. ზარდალიშვილი

(ნახატები ელი ახვლედიანისა)

# სადღეისო

**ძაღლის კუდი**

ჰოდა, ხომ გინახავთ ძაღლის კუდი, რაც უნდა მაინც ვერ გასწორდება.

ასეთია საქმენი და მოღვაწეობანი ჩვენი დრამატიული საზოგადოების და მსახიობთა ჰამქრისა.

როცა სამშობლო გაგვინთავისუფლდა, საკუთარმა მთავრობამ საერთოდ ხელოვნებას ყურადღება მიაქცია და კერძოდ თეატრსაც დიდი ულუფა გაუჩინა, სწორედ ამ დროს იშამათება ჩვენი სათეატრო საქმენი.

პირადი პატივმოყვარეობა ჩრდილავს ხელოვნების უანგარო სამსახურს.

დირექცია ვერ შეთანხმებულა—დირექციის თითოეული წევრთაგანი ყოყლოჩინობს—არა მე ბატონობა, არა მე უფროსობაო!

მსახიობთ ცხვირი განგანზე მიაქვთ: როგორ თუ მე ისე დამამცირეთ, რომ ჯამაგირით მეორესთან დამადარეთო...

მერე ჯამაგირებს არ იკითხავთ რავდენია?

თვიურად თითოეულს 8,000—15,000 მან., ე. ი. თითოს რვაასიდან ათას ხუთას თუმნამდე. თვეში მთელი წლით.

და მაინც „ინაზებიან!..“

ცოცხი ხელოვნების ამნაირ ქურუმთ, თუ მათ დღევანდელი წუთის დიადობა ვერ შეუგნიათ, თვისი შრომა-უნარი საერთო კეთილდღეობის სამსხვერპლოზე ვერ მიუტანიათ და ჩვეულებრივ ჯარის კაცის ღირსებამდე მაინც ვერ ამაღლებულან, რომელიც ბრძოლის ველზე მიდის და სამშობლოს სადარაჯოზე უდრტვინველად კვდება...

**ახალი ძალა**

სანამ ახალი ძალა არ წარმოიშობება, ჩვენი თეატრი, დედა-ქალაქის დრამა მუდამ დრამატიულ და ტრაგი-კომიკურ მდგომარეობაში იქნება.

წყალი რომ დაგუბდება—აშმორდება ხოლმე.

ეს შმორი მთის წყარომ უნდა გაიტანოს.

ასე უნდა მოვიქცეთ სათეატრო საქმეში.

მოვიგონოთ: 80-იან წლებში ჩვენი თეატრი მთის წყარომ—უმანკო სოფლის ნორჩმა ძალებმა აღადგინეს: ნატო გაბუნია, მაკო საფაროვი და სხ. სოფელმა მოგვცა.

ასეთი ბუნებით ნიჭიერი ჩვენს მდიდარ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მრავალი მოიპოება,—ოღონდ მათ მოძებნა უნდა, გამოწვევა და გაწრთვნა.

სხვა თუ ვერა მოახერხა-რა, დაე ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ ეს მაინც შესძლოს, ხოლო ინტრიგანთა ოჯახს სამარისკენ გზა დაულოცოს: დაე მათ თავისთვის „იჩალიშონ“ და დღენი თვისნი ერთმანეთის ჭამაში დალიონ: მათ ერთმანეთი ხომ ისე უყვართ, რომ საკუთარ საფლავს ერთი მეორეს დიდი სიამოვნებით შესთავაზებენ...



# სახალხო კულტურის საზოგადოების ძირითადი საფუძვლები

**საზოგადო მოსაზრებანი.**

როდესაც სურთ გაიგონ, თუ რამდენად განვითარებული, კულტურულად ამაღლებულია ესა თუ ის ერი გამოიანგარიშებენ, რამდენია ამ ერში წერა-კითხვის მცოდნე. და იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აღემატება წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი უცოდინართ, გამოიტანენ დასკვნას ერის კულტურა—უკულტურობის შესახებ. ეს ფაქტორი, ეს საზომი თავის თავად მართლაც ბევრის მაჩვენებელია, მაგრამ იგი სავსებით მაინც ვერ ახასიათებს ხალხის სულიერ განვითარებას, მის სიმაღლეს. არის ელემენტები სულიერი კულტურის განვითარების პროცესში, რომელთა გამომჟღავნება მარტო წერა-კითხვით არ შეიძლება. შეიძლება ადამიანმა კარგად იცოდეს წერა-კითხვა, მაგრამ იგი, როგორც კულტურული ღირებულება, არარა იყოს, შეიძლება მისი აზროვნება, გემოვნება, სულიერი განცდანი, მშვენიერების შეგნება და საზოგადოებრივი ალღო ბევრად უფრო დაქვეითებული იყოს, ვიდრე იმ ადამიანში, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის, მაგრამ ბევრი უნახავს, ბევრი გაუგონია და განუცდია და მისი აზროვნება ღრმა საკითხებს გადაჭკიდებია.

ჩვენი ცხოვრება ცოცხალი მაგალითია ამისი.

დააკვირდით ეგრედ წოდებულ „ნასწავლ ხალხს“, რომელნიც მრავლად მოიპოვებიან ჩვენში, გაუსინჯეთ მათ კბილი და უმეტეს შემთხვევაში ნახავთ პირწავარდნილ თვალთმაქცობას, ნამდვილ მაიმუნობას, რომელიც ცდილობს გარეგანი შეხედულობით, უკანასკნელ მოდაზე პრანჭვა გრეხით დაფაროს თავისი უშინაარსობა და უკულტურობა. გასინჯეთ ჩვენი დროის ქალ-ვაჟნი, რომელთაც შავი შრომა უკულტურობის ნიშნად მიაჩნიათ და მთელი მათი მოღვაწეობა გამოიხატება იოლი საშოვარის ძებნაში ან უსაქმო და უმიზნო ხეტიალში. თუმცა წერა-კითხვა კარგად იციან, მაგრამ რამდენიც არ უნდა აწვალოთ, ასეთების თავიდან ვერ გამოსწურავთ ვერც ერთ ცოცხალს, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აზრს მათი გულიდან არ გამოიწურება არც ერთი გრძნობა კაცობრიული, მაღალი ხასიათისა, მათი სული არ განიცდის ტანჯვას ცხოვრების და მსოფლიოს წყეულ საკითხთა აუხსნელობის გამო. მათი ცხოვრება, მათი გონების და სულის მოთხოვნილება ისეთივე პრიმიტიულია, როგორც საშუალო ხასიათის ველურისა, რომელსაც ბრჭყვიალა ნივთები და ჭრელი ჭინჭები ამშვენებენ.

ამასთანავე ბევრია მშრომელთა წიაღში ისეთი ხალხი, რომელთა გარეგნობა და მოკაზმულობა ვითომ უკულტურობის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ მათი გონება, სიტყვა-პასუხი, შეგნება და სულიერი მოთხოვნილებანი შედარებით განვითარებულია, მათი აზროვნება ღრმაა და გრძნობანი ძლიერი და ფაქიზი.

აი ეს ხალხი ჰქმნის ნიადაგს სულიერი კულტურის განვითარებისათვის და იგია პირველ ყოვლისა მისი მასსიური მატარებელი.

მატერიალური, გარეგანი კულტურა უშინაარსოა, ტლანქი და საზიზღარი, თუ მას არ აფაქიზებს სულიერი

კულტურა,—ზნეობრივი სისპეტაკე, ადამიანური გრძნობა და მაღალი აზროვნება ხალხისა.

ერის ნამდვილი კულტუროსნობის მაჩვენებელია აზროვნება, ხელოვნება და საზოგადოებრივი დაწესებულებანი.

და იმდენად, რამდენადაც უფრო ძლიერი და ღრმაა ხალხის აზროვნება, რამდენად განვითარებულია მისი ესთეტიური გრძნობა და რამდენად დემოკრატიული და ჰუმანიურია მისი საზოგადოებრივი ცხოვრება და დაწესებულებანი, იმდენად უფრო კულტურულია ერი.

ადამიანისათვის ცოდნა მხოლოდ იარაღია სულიერი განვითარების დასაჩქარებლად. და რომ სახალხო კულტურა ამაღლდეს, ერი სულიერად გაიზარდოს და განვითარდეს, საჭიროა, რომ ცოდნასთან ერთად მან შეითვისოს და შეიძინოს მაღალი და კეთილშობილი აზროვნება, ფაქიზი გრძნობა და საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესო პრინციპები; საჭიროა რომ ადამიანში დაითრგუნოს მხეცი და აღიზარდოს გრძნობა მოყვასის უანგარო სიყვარულისა.

ამ მიზნის მიღწევა მარტო სკოლით არ შეიძლება. იგი უმთავრესად ცოდნას იძლევა და არ ძალუძს იმ ხნის განმავლობაში, რომელსაც ახალგაზრდობა ატარებს სკოლაში, ცოდნაც მისცეს მას და სათანადო სულიერი აღზრდაც.

ამიტომაც არის, რომ ახალგაზრდობა, რომელიც გამოდის სკოლიდან ცხოვრების გზაზე და ვერ ხვდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთ დაწესებულებებს, სადაც მან შეეძლოს დაეწაფოს და შეითვისოს სულიერის განვითარების ელემენტები, ადვილად იბნევა, ჰკარგავს ცხოვრების გეზს და ეშვება ძირს ყოველდღიურ მეშჩანურს წუმპეში, იღუპება როგორც კულტურული ღირებულება.

ამას გრძნობს ხალხი, ამას ხედავს ახალგაზრდობა და ეს არის მიზეზი იმ ძლიერი მისწრაფების, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა საკულტურო დაწესებულებების და საზოგადოების შექმნაში. ასეთ საზოგადოებათა მოღვაწეობის ცენტრად დღეს გახდა ყველგან ეგრედ წოდებული **სახალხო სახლი**,—ეს ჩვენი დროის ეკლესია, კულტურის ტაძარი. თუ ძველად ხალხი თავისი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ეკლესიაში იყრიდა თავს და, სარწმუნოებაზე მტკიცედ დაყრდნობილი, აქ ეზიარებოდა მაღალ აზრებს და ღვთიურ სიტყვას, სამაგიეროდ ეხლა, როდესაც მეცნიერებამ ძლიერად შეარყია საფუძველნი რელიგიისა, ხალხს აღარ შეუძლია დაკმაყოფილდეს სარწმუნოებრივი დოგმატების ვიწრო ფარგლებით და ეკლესიის მაგიერ იგი ჰქმნის ახალ საზოგადოებებს და აშენებს ახალ ტაძრებს, რომელსაც **სახალხო სახლს** უწოდებს.

ეს მოვლენა სრულიად ბუნებრივია. იგი შედეგია მეცნიერების და კულტურის განვითარებისა. და ამიტომაც არის, რომ ჩვენში დღეს, როდესაც აღარ გვაწუხებს მუხრუჭი შავბნელი რეაქციისა, ამ მოძრაობამ მიიღო ფართო ხასიათი და ყოველ დაბა-სოფელში, ქალაქის ყოველ უბანში სდგება ასეთი საზოგადოებანი და შენდება სახალხო სახლები.

აი ამ ჩვენი დროის ტაძრებში, სახალხო სახლებში გაჩაღდება ის კულტურული მუშაობა, რომელმაც უნდა აღამაღლოს ჩვენი ხალხი გონებრივად, ზნეობრივად და სულიერად, რომელმაც უნდა გახადოს ქართველი ერი მაღალ კულტურულ ერად—ამ სიტყვის სრულის მნიშვნელობით.

რომ ამ მუშაობამ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს და ნაკლები ენერგიის და დროის ხარჯით უდიდეს რეზულტატს მივაღწიოთ, საჭიროა მომქმედ ძალთა კოორდინაცია, მათი შეკუმშვა—შეჯგუფება და შრომის საზრიანი განაწილება. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჯერჯერობით მაინც და მაინც არა ვართ ისე მდიდარი მომქმედი კულტურული ძალებით, რომ ძალთა დაქსაქსვამ საბედისწეროდ არ იმოქმედოს მუშაობის ნაყოფიერებაზე.

დრო არის ამ გარემოებაზე სერიოზულად დავფიქრდეთ.

როგორ მდგომარეობაშია დღეს ეს საქმე?

ყოველ ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვან კუთხეში არსებობენ და არსდებიან ერთ და იმავე ადგილს სხვადასხვა საზოგადოებანი: დრამატიული საზოგადოება, სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება, სამუსიკო საზოგადოება და სხვ. პროვინციაში ამ საზოგადოებათა შემადგენლობა თითქმის ერთი და იგივეა და მათი გამგეობანი ასეთივე შემადგენლობისაა. ბინაც ერთი აქვთ—სახალხო სახლი. ეს სხვადასხვა ორგანიზაციები, თუმცა ერთ მიზანს ემსახურებიან, მაგრამ ნაყოფიერად ვერ მუშაობენ საერთო გეგმის და გაერთიანებული მოქმედების უქონლობის გამო. ამის გამო სათანადოთ არც ერთი არა კეთდება, ან კი—ერთი საზოგადოება მუშაობს, მეორე კი ვერა.

ჩვენ ვგულისხმობთ იმ საზოგადოებებს, რომელნიც არსებითად ასრულებენ სახალხო კულტურის საზოგადოების როლს და იკრიბებიან სახალხო სახლის გარშემო, თუმცა სახელწოდება ისეთი აქვთ, როგორც უნდა ჰქონდეს მხოლოდ ხელოვნების მოსამსახურე საზოგადოებას. ეს ძველი დროის ნაშთია, რომელიც ახალ დროს აღარ შეეფერება.

რა თქმა უნდა, დარჩებიან დრამატიული, სამუსიკო, სამხატვრო და სხვა საზოგადოებანი, რომელთა მიზანია წმინდა ხელოვნების განვითარება, ხოლო ისეთი მუშაობისათვის, რომელიც ზევით დავსახეთ, საჭიროა სულ სხვა გვარი ორგანიზაცია, სხვა გვარი საზოგადოება.

თვით გარემოება და საქმის ვითარება გვიკარნახებს ამ ორგანიზაციის სახეს: **ერთი მიზანი, ერთი ბინა, ერთი საზოგადოება**. აი დასკვნა.

რაკი ეს ასეა, მაშინ თავისთავად დგება საჭიროება ასეთი ორგანიზაციის დაუყონებლივ მოწყობისა ყველა კუთხეში და ხსენებული საზოგადოებების ამ ერთ ორგანიზაციაში მოქცევისა.

ჩვენის აზრით, ყველგან, სადაც არსებობს სახალხო სახლი, ან სახალხო სცენა, უნდა დაარსდეს ერთი საზოგადოება, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ **„სახალხო კულტურის საზოგადოებას“** და ყველა არსებული წრეები, ან ორგანიზაციები უნდა გაუქმდენ. ყველამ ამ ერთ საზოგადოებაში უნდა მოიყაროს თავი, შეჰქმნან ერთი გამგეობა და უნდა აეგოს იგი შემდეგ საფუძვლებზე:

1. **მიზანი საზოგადოებისა:** საქართველოს მშრომელი ხალხის კულტურული განვითარება, მისი აღზრდა სულიერად, ზნეობრივად და გონებრივად.

2. **საზოგადოების წევრობა:** საზოგადოების წევრად ითვლება ყოველი მოქალაქე ორივე სქესისა, რომელიც სურვილს განაცხადებს წევრობაზე ჩაეწერება და აქტიურ

მონაწილეობას მიიღებს საზოგადოების მუშაობაში. ყოველი წევრი საზოგადოებისა ვალდებულია ირიცხებოდეს საზოგადოების რომელიმე სექციაში. საზოგადო კრებას შეუძლია გარიცხოს საზოგადოების წევრი უზნეო და შეუფერებელი საქციელისათვის.

ვინც ორ თვეს ზედიზედ საპატიო მიზეზ გარეშე არ მიიღებს მონაწილეობას საერთო მუშაობაში, იგი ჰკარგავს ხმის უფლებას. ამ კითხვას ყოველ კერძო შემთხვევაში სწყვეტს საზოგადო კრება.

3. თავისი მიზნების განსახორციელებლად საზოგადოება აწყობს ლექციებს, სახალხო კითხვებს, წარმოდგენებას, კონცერტებს, საღამოებს და სხვა. აწესებს სახალხო სახლებს, საკვირაო და საღამოს სკოლებს, სამკითხველო ბიბლიოთეკებს მუდმივ ან დროებით აუდიტორიებს, ერთი სიტყვით იგი აწყობს და აწესებს ყოველგვარ დაწესებულებას, რომელსაც შეუძლია ემსახუროს ხალხის სულიერ, გონებრივ და ზნეობრივ აღზრდა-განვითარებას. ამისათვის მას უფლება აქვს შეიძინოს უძრავი ქონება თავისი საჭიროებისათვის.

4. **სექციები.** საზოგადოების წევრთა შემადგენლობა იყოფა რამდენიმე სექციად: დრამატიული, სამუსიკო, საგანმანათლებლო, საფინანსო—სამეურნეო და სხ. ყოველი სექცია უძღვება თავის საქმეს გამგეობის ხელმძღვანელობით.

5. **საშუალებანი:** საზოგადოების სახსარს შეადგენს შემოსავალი გამართული წარმოდგენებიდან, ლექციებიდან, საღამოებიდან, კონცერტებიდან და სხ. სუბსიდიები მთავრობის, ქალაქის, ერობის და სხვა დაწესებულებათა და შემოწირულებანი.

6. საზოგადოებას უფლება აქვს მიიღოს თავის თავზე ქონება და საქმეები ყველა იმ ორგანიზაციებისა, რომელნიც ემსახურებიან და ასრულებენ რომელიმე აქ ჩამოთვლილ საკულტურო საქმეს. მას შეუძლია მიიღოს აგრეთვე მათი აქტივი და პასსივი და ქონებრივი ვალდებულებანი.

7. **მართვა-გამგეობა.** საზოგადოების საქმეებს უძღვებიან: გამგეობა, სარევიზიო კომისია და სექციები. გამგეობის წევრთა რიცხვს ყოველთვის საზღვრავს საზოგადო კრება. ყოველ სექციას ჰყავს პრეზიდიუმი, რომელიც წარმოადგენს მის აღმასრულებელ ორგანოს. სექციის თავმჯდომარედ ინიშნება გამგეობის წევრი, ხოლო სხვა წევრებს პრეზიდიუმისას ირჩევს თვით სექცია.

ასეთი უნდა იყოს, ჩვენის აზრით სქემა, უმთავრესი ხაზები ამ ახალი საზოგადოებისა და ამ პრინციპეპზე უნდა აშენდეს მისი წესდება.

ამ ორგანიზაციას მაშინ ექნება დიდი მნიშვნელობა და მაშინ მოგვცემს დიდს ნაყოფს, თუ იგი იქნება ერთნაირი საქართველოს ყოველ კუთხეში. ისე, როგორც სახალხო სკოლაა ერთი ტიპისა და მოფენილია ჩვენი ქვეყნის მთელ სივრცეზე, ისევე საკულტურო მუშაობა უნდა ჩამოყალიბდეს ერთი ტიპის ორგანიზაციაში და მოიფინოს იგი კიდით-კიდემდე.

მაშასადამე აუცილებელია, რომ ყოველ კუთხეში სადაც კი არსებობენ ასეთი ხასიათის ორგანიზაციები, უსათუოდ შეერთდნენ და დაარსონ ერთი საზოგადოება **სახალხო კულტურის საზოგადოება**.

მაგრამ სანამ ამ ცვლილების მოხდენას შევუდგებოდეთ ადგილობრივ, საჭიროა სრულიად საქართველოს საკულტურო ორგანიზაციათა წარმომადგენლების კონგრესის მოწვევა, რომელმაც უნდა გასინჯოს ეს საკითხი, გამოიმუშაოს ყველასათვის მისაღები ერთი ფორმა ორგანიზაციისა, შეიმუშაოს სანიმუშო წესდება ასეთი საზოგადოებისა, დააწესოს დროებითი ცენტრი, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას და დახმარებას ადგილობრივ რეორგანიზაციას და ახალი ორგანიზაციების დაწესებას.

როდესაც ეს ცვლილება მოხდება, როდესაც ჩამოყალიბდება საზოგადოების ორგანიზაციები ადგილობრივ, მაშინ დროებითი ცენტრი მოიწვევს მეორე კონგრესს, რომელიც შესდგება **სრულიად საქართველოს სახალხო კულტურის საზოგადოებათა რწმუნებულებისაგან**, რომელი კონგრესიც დააწესებს მუდმივ კავშირს ამ ორგანიზაციებს შორის და, გამოიმუშავებს რა კავშირის დებულებებს და წესდებას, აირჩევს და დააწესებს კავშირის ორგანოს, ცენტრალურ გამგეობას.

აი, მოკლედ ის გეგმა ჩვენი მომავალი საკულტურო მუშაობისა, რომელიც წინ გვიდევს და დაჟინებით მოითხოვს ჯეროვან მოწესრიგებას.

ვიმეორებ, საკულტრო მუშაობა ხალხში არის გაგრძელება სახალხო სკოლისა. ამიტომ არ შეიძლება, რომ იგი სრულდებოდეს შემთხვევით, სხვათა შორის. მას უნდა მიეცეს მტკიცე და ურყევი საფუძველი და უნდა გავხადოთ იგი მუდმივ და აუცილებელ დაწესებულებად, რომელშიაც უნდა შეიკრიბონ ჩვენი ხალხის ყველა კულტურული ძალები.

ჩვენ, ვინც ვმუშაობთ ამ ასპარეზზე, არა ერთი და ორი წელიწადი, ბევრი ჭირი და ვარამი გადავიტანეთ იმის გამო, რომ არ შეგვეძლო საკულტურო მუშაობა ჩვენს სურვილზე მოგვეწყო და ამისთვის საჭირო ორგანიზაცია დაგვეწესებია: არ გვაძლევდენ ამის ნებას. ეხლა, მადლობა ღმერთს, ამ მხრივ უზრუნველყოფილნი ვართ და ჩვენი განზრახვანი, დარწმუნებული ვარ, თანაგრძნობის მეტს არავითარ ხიფათს არ გადაეყრებიან.

ყველა ორგანიზაციებმა საქართველოში, რომელნიც მუშაობენ სახალხო კულტურის ასაღორძინებლად, უნდა მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება, უნდა დაუყოვნებლივ გადასინჯონ რეორგანიზაციის საჭიროების საკითხი და ემზადონ განზრახულ კონგრესისათვის.

შეიძლება არსად არ იყოს ისე საჭირო ძალთა და ენერგიის ეკონომია, როგორც საკულტურო მუშაობაში, რადგან იგი ცოცხლობს მხოლოდ უანგარო, იდეიური ინტერესით და არა ანგარებით. და რამდენად მცირეა უანგარო იდეიურ მუშაკთა რიცხვი ყველგან, ეს კარგად ვიცით. ამიტომ სიფრთხილე გვმართებს, რომ მცირე ძალები არ დავასუსტოთ დაქსაქსულობით. უნდა შევითვისოთ ძალთა დაზოგვის თეორია, უნდა ვიწამოთ ამ კანონის ჭეშმარიტება და სახელმძღვანელოდ ავიღოთლოზუნგი: **ერთი მიზანი, ერთი ორგანიზაცია, ერთი ბინა.**

ქიათურელი მოკეთე.



# ხელოვნება კონსტიტუც. პროექტში.

ხელოვნება უდიდესი შედეგია ადამიანის შემოქმედებისა და გამომხატველი ერის სულიერი ძლიერებისა ვისაც უნდა ერის წარმატება, მისი დიდება არა ნივთიერი მარტო, ის ვალდებულია ხელი შეუწყოს ხელოვნების ზრდას და განვითარებას. საქართველოს წარსულში აქვს დიდი ნაშთი ხელოვნებისა, დიდი განძი გადარჩა წარსულისაგან და იმ წარსულში საქართველოს საპატიო ადგილი ეჭირა სწავლულ და განათლებულთა შორის. საქართველო დღეს თვითონ აშენებს თავის ცხოვრებას, ცხოვრების და ერის კეთილდღეობას მჭიდრო საფუძველი ეყრება. საქართველო როგორც წარსულში შედის თანაბარ უფლებებით ევროპის სახელმწიფოებს შორის და აშკარაა ეს დიდი ადგილი ევროპა თან პირის პირ წარდგომის დროს დამსახურებულია ერის მიერ და თავისუფალმა საქართველომ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საერთაშორისო საუნჯეში. ეს დიდი ვალდებულება არის და მისი ასრულება დღეს უფრო ადვილია, რადგან საქართველოს დემოკრატია თვითონ აწყობს თავის ცხოვრებას

სახელმწიფო, ეს უდიდესი დაწესებულება, ზრუნავს ხელოვნებაზედ, ეს არის ვალდებულება სახელმწიფოსი, რადგან ხელოვნება არის შედეგი აზროვნების და შემეცნების განვითარებისა. მარტივია ჩვენი დებულება: სახელმწიფო იძულებულია ხელი მოუმართოს ხელოვნების განვითარებას, ისე როგორც ის უწყობს ხელს სწავლა-განათლებას.

ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისია კონსტიტუციის პროექტის დამუშავების დროს. მე-XII თავი, მუხლები 122-123 შეეხება ხელოვნებას და სახელმწიფოს ურთიერთობას. ამ მუხლებს აქვს დეკლარაციული ხასიათი. **ხელოვნება**, მეცნიერება და მათი სწავლება **თავისუფალია**. სახელმწიფოს მოვალეობა არის მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას". ეს მთავარი მუხლი კონსტიტუციის პროექტისა ორ დებულებას შეიცავს.

**პირველი: ხელოვნება თავისუფალია.** თავისუფალია შემოქმედება; ხელოვნების შინაარსი, მისწრაფებანი, ჰანგები თავისუფალნი არიან. ხელოვნების აზრი სრულიად თავისუფალია. თავისუფლება ხელოვნებისა უნდა იგულისხმებოდეს, როგორც სრული დამოუკიდებლობა ხელოვნების შემოქმედებისა, ხელოვნება ემორჩილება და ხელმძღვანელობს მხოლოდ თავისი საკუთარი აზრით და შინაარსით და ვერავინ ვერ მოახვევს მას თავის აზრს, თავის შეხედულებას. კონსტიტუციის პროექტი აღიარებს ძირითად თვისებას ყოველგვარი შემოქმედებისას. შემოქმედებას მხოლოდ მაშინ აქვს შინაარსი და მნიშვნელობა, ხელოვნება მხოლოდ მაშინ მიაღწევს თავის უზენაეს მიზანს, როდესაც ის არ არის **მოსამსახურე**, არ არის დაქვემდებარებული. ხელოვნებას, მის შემოქმედების ძალას არა აქვს საზღვარი, ხელოვნება დაუშრეტელი წყაროა, ხელოვნების შეძლებულება არის განუსაზღვრელი, აშკარაა, დებულება მარტივია კონსტიტუცია დემოკრატიული რესპუბლიკისა აღიარებს რა ამ ცნებას, გამოდის ამ ცნებიდან და აგვირგვინებს მას.

**მეორე** დებულება: სახელმწიფოს ესმის დიადი მნიშვნელობა ხელოვნებისა, ხელოვნება არ არის ისეთი რამ, რომელმაც უნდა ასიამოვნოს ვისმე, დაატკბოს; ხელოვნება არის იგივე სკოლა, რომელიც ხალხის გონებრივ განვითარებას, წინმსვლელობას ემსახურება, მაშასადამე სახელმწიფო ვალდებულია **მფარველობა** გაუწიოს ხელოვნებას. სახელმწიფო აღიარებს რა დიად მნიშვნელობას ხელოვნებისას, ვალდებულებასაც კისრულობს.

მფარველობა მრავალ ფეროვანია. კონსტიტუცია არ განმარტავს, რაში უნდა გამოიხატოს მფარველობა და ეს არც საჭიროა. მფარველობის სახეს გამოარკვევს თვით ცხოვრება. ზოგადი დებულება უფრო მისაღებია და მიზანშეწონილი. მხოლოდ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სახელმწიფოს მფარველობა, სახელმწიფოს ზრუნვა შეკვეცავს ხელოვნების თავისუფლებას. ასეთი შიში საფუძვლიანია. მფარველობა და ზრუნვა სახელმწიფოსი თითქოს შეკვეცავს ხელოვნების თავისუფლებას. ასეთი მდგომარეობა შესაძლებელი არის საერთოდ, მხოლოდ შეუძლებელი არის, თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს შევისწავლით და გავიგებთ მის დედა აზრს. კონსტიტუცია შეიცავს უკიდურეს გარანტიებს, დემოკრატიული წეს-წყობილების დაცვის მთავარ—დებულებაზედ არის აგებული კონსტიტუცია. დემოკრატიის უფლება—ვალდებულება სავსებით არის დაცული და მასთან ერთად არის დაცული ხელოვნების თავისუფლებაც და დამოუკიდებლობაც.

პროფ. **ს. ავალიანი**

# სევდიან ღამეს

ფიქრი მშიშარი, შორს დაკარგული,
სევდიან ღამეს ამი ტირდება,
ამიკვნესდება თავდახრით სული,
აჩრდილი შენი მომევლინება
და ჩემ სახეზე ღიმთა გროვასა
გადარეკავენ ცრემლთა ღვარები;
ვით შემოდგომის გაცლილი ჩონჩხი
ზამთრის ქარიშხალს ჩავებარები.
მოვა ზაფხული და გაზაფხულზე
გამოიღვიძებს მძინარეველი;
დღეს რომ ჩავახრჩობ ხავსიან სევდას,
ხვალ დამარცხებას აღარ მოველი!...

**ჩამორჩენილი**

# ფურცლები თეატრზე

I

**ნატურალიზმი თუ სიმბოლიზმი!**

ცნობილი კრიტიკოსი ი. აიხენვალდი ენერგიული იერიშებით აღიმართა თეატრის წინააღმდეგ.

მან მისცა უპირატესობა დრამატიული ნაწარმოების თვითწაკითხვას, სიტყვას და მუსიკას, ამ უკანასკნელს, როგორც ერთ რთულ და მართალ საშუალებას ადამიანის განცდათა გადმოსაცემად.

აიხენვალდი თავის აზროვნების გართულებაში დაბოლოს სცენის უარყოფამდე მივიდა: თანამედროვე თეატრის მისია დასრულების გარდაუვალ საზღვარზე შეაჩერა.

ეს აზრი არ ახალია.

მართალია, აიხენვალდმა ინდივიდუალური მოსაზრებათა არგუმენტაციით შექმნა ნიადაგი თეატრის უარისმყოფელთა სითამამისთვის, მაგრამ რუსულ თეატრალურ ლიტერატურის სივრცეში კიდევ სჩანს აიხენვალდის ბუნების ნათესავთა ბუნდოვანი და მიმქრალი სახეები, რომელთა მოძრაობაში არ სჩანს აიხენვალდის ნერვიულობა და ტემპერამენტი.

ესენი არიან—სტეკლოვი და ფრიჩე, რომლების მოსაზრებათა სრული სიკოტრე, უსუსურობა ლუნაჩარსკისთან კამათში გამოირკვა.

სტეკლოვი არ ეკუთვნის თეატრის უარმყოფელთა ავანგარდს, მაგრამ მისი ბუნება კონსერვატიობით ხასიათდება, რადგანაც თეატრის ოქროს ხანა, სტეკლოვის აზრით, იყო წარსულში, როდესაც გამეფების და დასტურდებულის გამართლების სიმაღლეზე იდგა ნატურალისტური მიმდინარეობა.

სტეკლოვი შიშით შეჰყურებს თეატრის ბედს და გვარწმუნებს, რომ თეატრის მომავალის გამარჯვება დამოკიდებულია ხალხის, მასსის დაახლოვებაზე ძველ, ნატურალისტურ თეატრთან.

ფრიჩე უფრო შორს მიექანება და სინემატოგრაფების გავრცელების შიშით აღნიშნავს თეატრის კრიზისს და უარყოფს მის არსებობას მომავალში.

და აქ, როდესაც ჩვენს წინაშე ორიგინალური არგუმენტებით სდგას ხალხი, რომელიც ერთი კალმის მოსმით ქმნის ტრაგიკულ განაჩენს, ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ მოკლეთ თეატრის ნიშანდობლივი თვისება.

შაბლონის უცნაურობამ დაამკვიდრა ერთი აზრი, რომ თეატრი ხელოვნების ტაძარია, მაგრამ ასეთ დებულებას თან არ სდევს ამხსნელად შესაფერი კითხვები აუცილებელი პასუხებით.

ტაძარი—სამლოცველოა, სადაც მიწიერ სიმძიმით დატვირთული ადამიანი შედის ლოცვათა აღსავლენად, რათა თავის სულიერ ცხოვრებაში მომწყვდეული, შეუერთდეს საერთო ლოცვის წმინდა ღაღადისს.

მაგრამ გვკითხავენ - თეატრში სადაური ლოცვაა? და ეს კითხვა ხშირად სმენია თედორე სოლოგუბს თვით თეატრის მოსიყვარულე ელემენტებისგან.

თეატრში ხომ ხალხი გართობისათვის დადის?—დაუმატებენ მას.

ცირკი—მას ხომ თავისი საკუთარი ხალხი, თავისი აუდიტორია ჰყავს, იქ დადიან იმიტომ, რომ გამოვა ცნობილი მასხარა, რომლის სიმახვილე სიცილს იწვევს მთელ დარბაზში და ერთობა ხალხი, ჰკლავს დროს.

ასეთია თეატრიც.

აი აზრი იმ ხალხის, რომელსაც ჯერ კიდევ სამლოცველო ტაძარსა და თეატრ შორის სრული იგივეობა ვერ დაუმკვიდრებია.

ეს აზრი ფართოდ გავრცელებულია, მაგრამ დაშორებული სინამდვილეს.

ცირკში ხალხს იზიდავს კლოუნი, მაგრამ ვის აინტერესებს რომელიმე გიმნასტ-შევარდენი, რომლის გაუგებარ წამებას, მხოლოდ ცირკის მწვერვალზე მობმულ სავარჯიშო იარაღები თუ მიხვდებიან.

ცირკში არის მსახიობის ტანჯვა, არის შემოქმედების პროცესი, მაგრამ იქ მხოლოდ მასხარას სასაცილო სიტყვებს ხედავენ.

ნუ თუ ასევეა თეატრშიც?

მაგალითი:—წარმოდგენა იწყება. მისცეს მესამე ზარი. ფარდა ასწიეს. დამკვიდრდა დუმილი, ხალხი ელის მსახიობს, მაგრამ ამ დროს ის კულისებში დგას და მღელვარებით სამჯერ გადისახავს პირჯვარს, ჩურჩულში იტყვის ვედრებას და მიდის სცენისაკენ, რათა მოვალეობა ღირსეულად შეასრულოს.

რა არის ე. მოვალეობა? – მან უნდა დაიმორჩილოს დარბაზი, გახადოს ის ერთ სხეულად, დაავიწყოს მსმენელს მისი კერძო ცხოვრება, აამაღლოს ის სულიერ ცხოვრების სიწმინდის მშვენიერებამდე და მასთან ერთად შეიცნოს ჭეშმარიტების, რწმენის ძლიერება. აი ფეთქს მსახიობის გულის გული, მოძრაობს მისი სახე, ისმის სიტყვები, რომელიც იწვევს ხალხს, იმორჩილებს მას, მსახიობი გადადის თავდავიწყებაში, რათა მთელის ენერგიით დაიმორჩილოს დარბაზი. მაგრამ ამ დროს ლოჟაში ზის ადამიანი ბინოკლით ხელში, რომლის ხედვა მიმართულია მსახიობის გულის სხეულის რხევაზე, ფეხების სისწორეზე, ის ხარბად უმზერს მარგარიტა გოტიეს, რომელიც აჰა დგება საწოლიდან. . და რასაკვირველია აქ კვდება თეატრის დანიშნულება. მაშინ, როდესაც თეატრი სამლოცველო ტაძარია, იქ ხალხმა უნდა დაივიწყოს ყოველივე და, როგორც ტაძარში, ლოცვის ჟამს შექმნას სულიერი ყოფის სრული ჰარმონია.

აქ არის მართალი ძარღვი თეატრის და ტაძრის დაკავშირებისთვის.

მაგრამ თეატრი თავის დანიშნულებას იმ შემთხვევებში შეასრულებს, როდესაც ის იქნება ხალხოსნური, როდესაც ის მისცემს ჭეშმარიტ გაშუქებას უმრავლესობის სულიერ ცხოვრების სირთულეს, იმ უმრავლესობის, რომელიც ქმნის ისტორიულ პროცესებს.

მაგრამ თუ თეატრი ამ გზაზე არ შესდგა, მაშინ მისი ტაძართან დაკავშირება შეუძლებელი იქნება და შეგვრჩება მხოლოდ გასართობი ადგილები – ფარსი, შანტანი, სადაც ბურჟუაზიული ჯიბეები ცოცხალი ადამიანთ სხეულის ყიდვა-გაყიდვაში უნდა დაცარიელდეს.

ჩვენ გვინდა თეატრი დემოკრატიული, ხალხოსნური, მაგრამ ამისათვის სტეკლოვის პროექტებს ვერ მივიღებთ და ნატურალისტურ ტენდენციებს ვერ გავყვებით.

დემოკრატიის და თუ გნებავთ პროლეტარიატის ბუნება კონსერვატიულ მეთოდებს და პროექტებს ვერ შეურიგდება და მისი მოთხოვნა მუდამ იქნება ახალი, ცოცხალი, ჯანსაღი.

ის, ვინც ქმნის ისტორიულ პროცესებს, ვინც სჭედს კაცობრიობის ცხოვრების პირობების შემსუბუქების საშუალებას, შეუძლებელია თავისი მოთხოვნით იყოს მომხრე წარსულისაკენ გადაქანებისა.

სტეკლოვი უკან გვაბრუნებს, ის გვეძახის ისეთ პერიოდში, როდესაც გაიყინა ცხოვრების ნერვი. ჩეხოვის, ოსტროვსკის, გრიბოედოვის, გონჩაროვის და მათი ძმები რეალისტების ხანა უკვე დასრულდა. ბურჟუაზიული რუსეთის მიმქრალ სხეულთა სურათები საკმარისად აშუქა დაღლილმა სცენამ.

დღეს ჩვენ წინ დგანან მეტერლანკი, ჰამსუნი, ანდრეევი და მთელი პლეადა სიმბოლისტების. ძველი ბუმბერაზი რეალისტები არქივში გადავიდენ და თან წაიღეს ნატურალიზმის ფურცლები.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის ნატურალიზმში შეიჭრა იბსენი თავისი ბრანდით და შექსპირი ჰამლეტით.

არქივში გადავა ბა-ნი სტეკლოვიც.

დღეს ჩვენთვის საჭიროა ახალი ფორმები, ახალი სისტემა, ახალი გზა.

მაგრამ ერთხელაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თეატრი უნდა იქნეს ხალხოსნური, თეატრში უნდა აფეთქდეს შემოქმედება ცხოვრების მამოძრავებელი უმრავლესობის. ჩვენ გვწამს რომ დემოკრატია საუკეთესო აუდიტორიაა თეატრის.

ესტონეთის სახალხო თეატრის აფიშებზე ხშირად კითხულობდა თედორე სოლოგუბი შექსპირის და მოლიერის გვარებს, რის შემდეგ ის იტყოდა: „დიახ, დემოკრატია საუკეთესო მსმენელია თეატრის!“ მაღალი ღირსების ხელოვნება—ეს იქნება დემოკრატიული ხელოვნება, უმრავლესობის სულისკვეთების და სახეების მაშუქებელი, რასაკვირველია მიუღებელი ბურჟუაზიისათვის, რადგანაც უმრავლესობის სცენაზე გამოყვანა ეს იქნება კაპიტალისტების სინიდისის ქენჯნის პროცესის დაწყება.

„დემოკრატიას უნდა სიმართლის და ჭეშმარიტების ხილვა, მისი შეგრძნობა, მას თვითონ დააქვს ჭეშმარიტება“—ამბობს სოლოგუბი და სწორედ ეს ჭეშმარიტება მიუღებელია იმ ადამიანისათვის, რომელიც ლოჟიდან ბინოკლით უმზერს მარგარიტა გოტიეს სხეულს.

სიმბოლიური თეატრი—აი, რას ითხოვს დემოკრატია. მაგრამ ჩვენ აიხენვალდის სიმწვავით არ უარვყოფთ ნატურალიზმის და რეალიზმის დამსახურებას.

ცხადია ისინი საჭირონი იყვნენ, მაგრამ მათ მიერ მომზადებულ ნიადაგზე უნდა ამოცენდეს ახალი და ეს იქნება სიმბოლიური თეატრი. ჩვენ გვწამს, რომ სიმბოლიზმი რეალიზმის განვითარებაა, მისი უკანასკნელი სახე.

განსხვავება მხატვრულ მოქნილობის სირთულეშია.

ლუნაჩარსკი სწერს: „შედარებით საშუალო გამოცდილება აძლევს შეძლებას ადამიანის მხატვრულ ინტუაციას ჩამოაყალიბოს ტიპი. მოსწყვიტოს სინამდვილეს კონკრეტი სახე და მისცეს მკითხველს. მაგრამ დაკვირვებას და გამოცდილებას გაშლილობა მოქცეული ერი სახეში გვაძლევს სიმბოლოს“.

მართლადაც ჩეხოვის ძია ვანოს, ან ივანოვი—ეს ხომ კონკრეტი, არსებული რუსული ტიპებია. ჰამლეტი კი ტიტანიური სახეა, რომელიც დანიის კუთვნილებას არ შეადგენს, არამედ მთელი კაცობრიობის.

ჰამლეტის ძლიერი სულის სიღრმეში ფეთქს კაცობრიობის სულის მღელვარება, იქ ჩართულია ყოველი ადამიანის სულში არსებული ბრძოლის საშინელება.

გორკი პროლეტარიატს ვერ დააკმაყოფილებს, რადგანაც მუდამ მოსაზრებელია საკუთარი „მე“-ს ხილვა.

ისიც რეალისტურ ასახვაში.

პროლეტარიატს ესაჭიროება რთული, ტიტანიური სახეები, რომლების სიცხოველში უნდა ფეთქდეს ჭეშმარიტების და სამართლის გამარჯვების ენერგია და ნება. მართალია, საჭირო იქნება სინამდვილის საზღვრების გადალახვა, მაგრამ ეს აუცილებელია ახალი ხელოვნების განმტკიცებისათვის. პირველი ქვა უკვე დადვა ასეთი ახალი ტაძრის აღსაშენებლად ვერხარნმა.

ნატურალისტურ თეატრში არ არის იდეალი,—სამართლიანად შენიშნავს ჰენრიეტა როლანდ-გოლსტ. „ნატურალისტები ვერ უკავშირდებიან თავისი აწმყოთი საერთოშორისო, მსოფლიო ისტორიას, ისინი მხოლოდ არსებულით სუნთქავენ და მიდიან მის დეტალურ ამლერებამდე; მაგრამ ეს არ ესაჭიროება პროლეტარიატს, რომელიც მსოფლიო, ისტორიული იდეალის მატარებელია. ჩვენ შევაძულებთ პროლეტარიატს თეატრს, თუ მუდამ მისი სურათებით ვკვებეთ.

მისი ბუნებისათვის საჭიროა გაშლილობა, ფართო მასშტაბი პოეტური შემოქმედების“—აკე ათავებს თავის წერილს ჰენრიეტა როლანდ-გოლსტ.

ჩვენც დავასკვნით—სალამი სიმბოლიურ თეატრს, როგორც პროლეტარიატის მდიდარი ბუნების რთულ გამომხატველს.

**მ. ღვამიჩავა**

# ჩვენი მოღვაწენი



**პროფესორი მიხეილ გიორგის-ძე წერეთელი.**

ცნობილი მეცნიერი და პუბლიცისტი, ამ გაზაფხულზე დაბრუნდა ევროპიდან, სადაც იგი იმყოფებოდა როგორც ემიგრანტი.

1906 წლის რეაქციის დროს მას დევნა დაუწყო რუსის, მთავრობამ,როგორც უკიდურეს რევოლიუციონერს, რის გამო იგი იძულებული იყო გასცლოდა გაბოროტებულ რეაქციას და თავი შეეფარებია კულტურულ ევროპისათვის. აქ მიხაკო წერეთელმა ხელი მოჰკიდა აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის და ფილოლოგიის შესწავლას ჯერ ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტში, შემდეგ საბოლოოდ გადავიდა გერმანიაში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, სადაც შეუდა ამ საგნების შესწავლას საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერ ორიენტალისტთა ხელმძღვანელობით. საუკეთესოდ დაასრულა სწავლა, მიიღო დოქტორის ხარისხი და გერმანულ ენაზე დასწერა შესანიშნავი გამოკვლევანი უძველეს ხალხთა ისტორიისა და კულტურის, განსაკუთრებით სუმერიულისა.

დღეს იგი ჩვენში აღმოსავლეთის ძველ ხალხთა ისტორია-ფილოლოგიის საუკეთესო მცოდნეთ ითვლება ზედმიწევნით იცის ამ ხალხთაენები და ამჟამად სწერს ძველი ასსურული ენის სახელმძღვანელოს ქართულად.

ჩვენმა უნივერსიტეტმა ჩამოსვლისთანავე იგი აირჩია პროფესორად.

ამას გარდა მიხაკო წერეთელს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება, როგორც თავდადებულ რევოლიუციონერსა და მამულიშვილს. მსოფლიო ომის დაწყებიდანვე იგი გერმანიაში შეუდგა ენერგიულ მუშაობას საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ. სხვა ამხანაგებთან ერთად, მეთაურობდა საქართველოს განმათავი-

სუფლებელ კომიტეტს, რომელმაც თავისი მოქმედება ერთ დროს სტამბოლშიაც კი გადმოიტანა და ყველას ახსოვს, თუ რა აურზაური გამოიწვია მაშინდელ რუსის მთავრობის წრეებში მათმა მუშაობამ და რა საფრთხე მოელოდა მათ, რომ საქმე სხვანაირად დატრიალებულიყო.

მისმა მუშაობამ შესანიშნავად შეამზადა ნიადაგი გერმანიაში საქართველოს სასარგებლოდ და თუ იმ თავითვე გერმანია ისეთი ყურადღებით და თანაგრძნობით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის მიხაკო წერეთელს და მის ამხანაგებს. იგი იმ თავითვე ამოუდგა გვერდში ჩვენს მისსიას, რომელიც წავიდა ბერლინში 1918 წ. აკაკი ჩხენკელის მეთაურობით და მასთან დაუღალავ მუშაობდა, როგორც შუაგულ ევროპაში, ისე სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც ის გაივზავნა საქართველოს ელჩად (სტოკჰოლეში).

მიხაკო წერეთელი, ამდენი წლის დევნისა, სამშობლოს დაშორების და მძიმე მუშაობის გამო თუმცა დაღლობასა გრძნობს, მაგრამ იგი დღესაც იმავე ახალგაზრდული რევოლიუციონური სულით და გრძნობითაა განმსჭვალული, როგორც იმ თავით იყო.

მისი დაბრუნება სამშობლოში სასიხარულოა, როგორც მოზარდი თაობისათვის, რომელიც მიიღებს მისგან ახალ ცოდნას აღმოსავლეთის და სამშობლოს შესახებ, ისე ფართე საზოგადოებისათვის, რომელსაც დაუბრუნდა ენა-მჭევრი და ფხიზელი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და თავდადეაული მამულიშვილი.

დორელი.

# ღამის ალერსში

ღამის ალერსით გადავიწვი ღამის გულმკერდზე.
ღამის უბეში ჩავიძირე ანამტირალი.
სულის კამკამით ანათრთოლი გავცურდი სერზე,
მთვრალ სამოსელით შეიმოსა გული ტიალი...

სევდის ბურუსში კვნესა მწველი გიდაიშალა.
სანთლების შუქზე შემოევლო ბნელი მანტია,
ყმაწვილი სული იდუმალმა თალხად დაშალა,
რგვალ გუმბათებზე აჩრდილები შავად ანთია...

წმინდა ტაძრები ჩუმად სდგანან გაბუტულები.
შუა საყდარში ასვენია მკვდარი კუბოში.
ხატები სდუმან არა სჩანან გამსვენებლები.
ერთი ასული იბანება ცრემლის გუბეში...

ტუჩფა ქალები დაუპყრია ჭოტების კივილს,
სატრფოს საწოლთან იპარება სისხლის სარჩული,
ქარები ჰქრიან. ძაღლი ჰყმუის გული გრძნობს ტკივილს.
სასაფლაოზე ყრუდ გაისმის მკვდრების ჩურჩული...

მალე ლანდები იჭრებიან დავითის მთაზე.
ღამის ღრმა თვალებს ჰორიზონტი ოდნავ აუითრებს.
ცრემლი თამაშობს ცის ნიავის საქანელაზე.
და ღამის მეხრე ხელებს აწვდის დიანას ისრებს!..

კ. რატიშვილი

# ჩვენებ ი

(გაგრძელება იხ. „თ. და ც." № 25)

**რიმ.** რავქნა. რა ვუყო? ისეთი უხიაკი ხასიათისაა. ვინ იცის, რა ბოლო ელის? ეგრე აზისათ გაზდილი ხუთ თუმნად იცხოვრებენ?

**იაგ.** „შენ კიდევ მეტი მიეცი!

**რიმ.** იაგორ მიტროფანიჩ, მერე ეღირება-კია ამათ?

**იაგ.** კაკ მოჟნა-რას ლაპარაკობ?!.. კაცი სტუდენტია,—ხუთი წლის შემდევ კაცი გახდება... რა ვუყოთ, რომ ღარიბია?! სოპსტვენო ღოვორია, მდიდარი რომ იყოს და სწავლის საშუალება ჰქონდეს-არც შენ ქალს შეირთავს... ძლივს დავითანხმე... სანამ არ ავუწერე მთელი მზითევი—ზედაც არ შემომხედა.

**რიმ.** ახლა ძალ-ანაც ნუ გაიბერება და!.. რამდენი მშიერი სტუდენტია,—სიხარულით ხელშიაც გამომგლეჯენ.. ჩემ ქალს რა აქვს დასაწუნი! თვალტანათ, ენაცვალოს დედა, უბნის თვალია!.. ორი კლასის ჩასუნი ღემნაზია გამითავებია; სიტყვა იცის და პასუხი... ქრთამიც დიდი აქვს... ვისი რა დასაწუნია?..

**იაგ.** დასაწუნი კი არ არის, მარა-სტუდენტია, სტუდენტი!

**რიმ.** ახლა რა ვქნათ, რომ სდუდენტია?! ჩემი შვილიც გილდის კუპწის ქალია.

**იაგ.** იცი, ახლა რა ღირს სტუდენტი?! კაი ოცი ათასი მანეთი ღირს, აბა!. შენ კი, თითქმის მუქთად იშოვნე ამ ხუთ წელიწადს უნდა დაეხმარო და სწავლა დაამთავრებინო... მეტი რა? თუ რამეს მისცემ, შენს ქალს მისცემ..

**რიმ.** მა რა?! იმას ხომ არ ჩავუყრი ხელში?!

**იაგო.** ძალიან პატიოსანი ბიჭია... ასე მითხრა: სანამ სწავლას დავამთავრებდე, დამეხმარონ... მერე ჩემს ცოლს მე თითონ შევინახავო... იმათი არაფერი მინდაო...

**რიმ.** ქა, ის რომ თითო კურსზე ხუთ ხუთი წელიწადი-იჯდეს, სად წავა?

**იაგ.** კაკ მოჟნა, შტო ვი ღოვორიტე?!.. ის კი არა, თორმეტი კლასი ოთხ წელიწადში გაათავა... ოქროსი და ვერცხლის მენდალი ორივე ერთად მისცეს... ერთმანეთზეა მიკრული ახ, აჰ!.. (ხელით აჩვენებს) თარახის ოდენაა!-აბა!

**რიმ.** ნიჭიერი ყოფილა, ენაცვალოს იმას სიდედრი...

**იაგ.** სობსტვენო ღოვორია, ნივერსეტს უფრო ადრე გაათავებს... იანგარიშე-თუ თორმეტი კლასი ოთხწელიწადში გაათავა, ხუთ კურსს ორ წელიწადში გაათავებს. რახ-რუხ და კონჩილ! კაკ მოჟნა!

**რიმ.** რა ვიცი, ქა! ზოგიერთები კი ჭირივით აღარ შორდებიან ი რუსეთსა და!.. გენაცვალე, ბერდებიან, ჭაღარა ერევათ და კიდე ვერ გაუთავებიათ. იაგორ მიტროფანიჩ, განათლებული კაცი ხარ და შენ გეცოდინება ამის მიზეზი.

**იაგ.** სობსტვენო ღოვორია-შიათ! კოლდა ქივოთ პუსტოი—ღალავაც—პუსტოი! აი, ჩვენი სიძე... კუშიტ ბუდით უჩონი ბუდიტ, ჟივოტ პუსტოი ბუდიტ და დურაქ ბუდიტ

**რიმ.** ვაი, ნეტავი ისე დაიწერდეს პირჯვარს, რომ იმ ხუთ წელიწადს, როგორც შენ ბრძანებ, ორად შემიმოკლებდეს და კუშიტს როვორ მოვაკლებ... ყოველ კვირა ნაზუქებს გავუგზავნი, ენაცვალოს სიდედრი... მაშ,

იაგორ მიტროფონიჩ, რას ამბობენ, ძალიან ნასწავლი იქნებაო?

**იაგო**. პროფესორი!

**რიმ**. ვუიმე!!.. მაშ პროფესორი სიძე მეყოლება?..

**იაგ**. იქნება, პროფესორზე მეტიც გამოვიდეს..

**რიმ**. განა პროფესორზე მეტი კიდევ არი რამე?

**იაგ**. კაკ მოქნა — ლები!

**რიმ**. ქა, ლები რაღაა!

**იაგ**. ლები... სობსტვენო ლოვორია, ის არის... პროფესორზე მეტია... იმისთანა განათლებულია, რომ ხელმწიფეზე ნაკლებ კაცს არ დაელაპარაკება თურმე... სხვას რომ დაელაპარაკოს-ვერავინ ვერაფერს გაუგებს... მარტო ხელმწიფეს ესმის თურმე მისი ლაპარაკი, სულ მასთან იქნეს სასახლეში...

**რიმ**. ცოლიც თან ეყოლება?

**იაგო**. ცოლი-დედოფალთან!

**რიმ**. ქა, ქა, ქა, იაგორ მიტროფონიჩ, ჩემი ტასო რომ სასახლეში დავინახო დედოფლის გვერდით, ხომ ჭკვაზე შევიშალე!.. გენაცვალე. ეხლა რითი გადაგიხადო, რომ ამისთანა ბედი სახლში მომიყვანე?!..

**იაგ**. სობსტვენო ლოვორია, მე ღარიბი კაცი ვარ... ჩემი ხელობა ეს არის და... თუ გასამრჯელოს არ დამაკლებ...

**რიმ**. დაგაკლებ კი არა-მოგიმატებ, გენაცვალე, მოგიმატებ... ჯვარს დაიწერს თუ არა-შენს ფულს ჩაგაბარებ..

**იაგ**. სობსტვენო ლოვორია, ჯვრის დაწერამდისაც ნაწილი... (ზარი)

**რიმ**. ქა, რაღა ვქნა, მგონი მოვიდნენ!..

**იაგ**. ჰო, სწორედ ისინი იქნებიან..

**რიმ**. ვუიმე, რაღა ვქნა?.. ბიჭო, დიანოსა! (დიანოსა.)

**დიან**. რა გინდა?

**რიმ**. შენი სიკვდილი!..

**დიან**. ვაა, სიკვდილი რათა?!.

**რიმ**. წადი, კარი გააღე!.. მაგრამ, მოიცა... რასა გევხარ, შე არ დასაცალებელო!?

**დიან**. ვაა, მე რა ვქნა?

**რიმ**. გასწი, სამზარეულოში!.. მე თითონ გავაღებ.. (დიანოსა მოდის. რიმსიმე მივა კარებში შეჩერდება) მე რომ კარები გაუღო, უდობნო გამოვა?

**იაგო**. სობსტვენო ლოვორია, არ იქვება მთლად უდობნა. მე გაუღებ და მოვიბოდიშებ.

**რიმ**. ჰო, შენი განათლებული ჭკუის ჭირიმე... შენ იცი.. (იაგორა გადის. რიმსიმე კარებში გასძახებს) ტასო გენაცვალე, ჩქარა მოემზადე, მოვიდნენ.

**ტასო**. (ხმა) მე მზადა, ვარ, დედა!

**რიმ**. შუშტაკი გადაისვი... გუბნოი პომადა არ დაგავიწყდეს... წითელი ლენტი რომ გიყიდე, უკან ის დაიბნიე. (სარკის წინ ტრიალებს, მერე სავარძელში დაჯდება და გაიჭიმება.

**იაგორა, სოსო, ანეტა.**

**რიმ**. მობრძანდით, გენაცვალე, მობრძანდით!.. თქვენი მოსვლა, — ჩვენი აქ დახვედრა!.. ბედნიერი იყოს თქვენი ფეხი ამ ოჯახში... (ყველას უხერხულად ხელს ართმევს) დაბრძანდით, გენაცვალეთ! (სავარძელს გადაბერტყავს და მიუწევს) პატარძალიც ეხლავე გამოვა... (ჯდება. უხერხული დუმილი. სკამზე ცმუტავს და იღიმება) როგორ მშვიდობით ვიკითხოთ, გენაცვალე?

**სოსო**. გმადლობთ, კარგათ!

**რიმ**. თქვენ, ბარიშნა?

**ანეტ**. კარგათ გახლავართ!

**რიმ**. თქვენ ამათი რა იქნებით?

**ანეტ**. ამ... ამხანაგი. . მეგობარი..,

**რიმ**. (ეჭვით შეხედავს) ჰოო? პოდრუგა იქნებით, რაღა?!

**სოსო**. დიახ.

**რიმ**. მერე დი პოდრუგების მოწვევა ხომ ნევესტა საქმეა?!

**ანეტ**. ნუ გეშინიათ, ქ-ნო, მე არაფერი არ ვიქნები .. მოვედი, მინდა ნიშნობას დავესწრო

**რიმ**. ჰოო?.. რატომ, შეიძლება!

**იაგ**. ვი... პოსოქონი ატეც ესტ?

**სოსო**. როგორ არა, მყავს.

**იაგ**. მატ ესტ?

**სოსო** მყავს..

**რიმ**. მაშ დღეს დანიშნავ და ერთი კვირის შემდეგ ქორწილიც გავაჩაღოთ, გენაცვალე... ჩემს შვილს რაც დაუტოვა ცხონებულმა მისმა მამამ, ის ხომ არის და არის... ერთ დენიშკას არ დავაკლებ... მერე ჩემი ქონება ვისთვის მინდა? ისევ ჩემ შვილებს არ უნდა დარჩეს? მთელი ქონება ქალის სახელზე იქნება ნატარიუსით დამტკიცებული... რა ვიცი, ერთბაშათ გული გადაგიბრუნდეს, ქალი ხომ ულუკმა პუროთ არ დარჩება?!

**სოსო** აბა, ეგ რა საფიქრებელია, ბატონო?

**რიმ**. რა ვიცი, ქა!.. ეხლა ყველა იმას ამბობს, თუ ცოლს გაეყარე — განათლება არისო... შენ კიდევ, სანამ ნივერსეტს გაათავებ-თვეში 50 მან. გამოგიგზავნი... 50 მან. კარგი ფულია, შვილო, გეყოფა.

**სოსო** ეგ ანგარიშები მერე იყოს ბატონო.

**რიმ**. რათა, შვილი, პირობა-პირობაა!.. ანგარიში საქმეს არ წაახდენს... აბა უანგარიშოთ რა იქნება?!.. როგორ გეტყობა, რომ ჯერ გამოუცდელი ხარ!.. ძმამ და ძმამ ანგარიში ჰქნეს-- ისევ ძმები დარჩნენო...

**სოსო** ეგ მართალია მაგრამ...

**რიმ**. ჰო და, შვილო, თუ იმდენ სამადლო საქმეს ჩაიდენ, რომ ხუთ წელიწადს ორზე შემიმოკლებ და ლები გამოხვალ, მაშინ ჩემისთანა საწყალი ქალის დოვლათი რაღად გინდა? შენა და შენი ცოლი სასახლეში იქნები ხელმწიფესთან და დედოფალთან ერთად... მეც ხან და ხან გესტუმრებით სასახლეში... მაგრამ, ეჰ, ვინ იცის, იქნებ მაშინ არც-კი მიკადროთ?!..

**ტასო** (ხმა) დედა!

**რიმ**. აი, მოვდივარ, შვილო! იაგორ მიტრაფონიჩ, შენ შინაური კაცი ბრძანდები, სტუმრები გაართე!... უკაცრავად, გენაცვალეთ! (გადის სოსო და ანეტა ერთმანეთს გაკვირვებით მისჩერებიან)

**ანეტა** О чемъ она говоритъ?

**სოსო** Ничего не понимаю.

**იაგ**. უჩენია-ობროზოვანია... სობსტვენო ლოვორია... სასახლეში იქნები, ხელმწიფესთან ერთად..

**სოსო**. ხელმწიფესთან რა მინდა, იაგორ მიტროფანიჩ?

**იაგ**. ასე მითხრეს — ლები გამოვაო.

**სოსო**. მე ხომ მედიკი არა ვარ... რომ ვიყო კიდეც ლეიბობას ვინ მომაშავეშს; მე ფილოლოგიურ ფაკულტეტეზე ვარ.

**იაგ.** სობსტვენო ლოვორია. ფილოგიკაც კარგია... ია ზნაიტ! (კარებში თავს შემოყოფს) იაგორ მიტროფანიჩ, ერთ წუთს. უკაცრავად გენაცვალეთ!

**იაგ.** თქვენ ნუ მოიწყენთ! (გადის)

**დიდი პაუზა.**

**ანეტ.** მაშ ეგრე.

**სოსო** ანეტა. გთხოვ ნულარას მეტყვი... საკმაოდ დასჯილი ვარ... შენგან საყვედური ზედმეტი სასჯელი იქნებოდა ჩემთვის.

**ანეტ.** მე არ გისაყვედურებ.

**სოსო.** სიცყვით საყვედური ჩირჩევნია შენს შემოხედვას.

**ანეტ** ჩემი თვალები ალბათ იმ შიშს გადმოგცემენ, რომელსაც მე განვიცდი.

**სოსო** ვისთვის შიშობ?

**ანეტ.** რა თქმა უნდა—შენთვის.

**სოსო** თუ ყველა ასე სჩადის?! ერთი უყვართ მეორეს ირთავენ.

**ანეტა** ჯერ თავმოყვარეობა იმდენად არ დამიკარგავს, რომ ჩემი სიყვარული ძალად მოგახვიო თავზე, მაგრამ ბოლო... ბოლო მაფიქრებს.

**სოსო** რა ყვავივით დამჩხავი!!

**ანეტა** უარესიც რომ მითხრა—მოგითმენ.

**სოსო** მაპატიე, შენი შეურაცყოფა არ მინდოდა... როგორც მეგობარს...

**ანეტა** მეგობარს კი, შეგიძლია ყველაფერი უთხრა მე ჯერ ქალი არ მინახავს, მაგრამ შენი სიდედრის ქცევა და ლაპარაკი ნუ თუ არაფერს გეუბნება?

**სოსო** მაშ რა ვქნა—ერთი მითხარ? მართალია, მიყვარდი... ეხლაც მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე ვერც-კი წარმომდგენია, მაგრამ აბა დაფიქრდი—განა მარტო სიყვარულით ცხოვრება შეიძლება? ყოველ დღე ლუკმა პურზე ფიქრმა და ზრუნვამ ხომ შეგვაძულა ერთმანეთი? Съ милымъ и рай въ шалашѣ-ო—ტყუილია! ეგ რომანია—ცხოვრება-კი სულ სხვაა! შენ ქალი ხარ და არა გსურს ცხოვრებას ჩაუკვირდე.

**ანეტა** მე გთხოვ, მაგ კილოთი ნუ მელაპარაკები!

**სოსო** მაპატიე მე სწავლა მინდა—საშუალება-კი არა მაქვს... ესენი დამეხმარებიან... უნივერსიტეტში წავალ...

**ანეტა** ნასწავლ სიძეს ყიდულობენ და შენც თავს ჰყიდი!

**სოსო** რა საჭიროა ასეთი სიტყვები?!.. თუნდაც ასე იყოს,—სად არის აქ ცოდო და დანაშაული?!

**ანეტა** იყოს სიზმარი და განქრა იგი!...

**სოსო** იყო სინამდვილე და დარჩა იგი...

**ანეტა** რამდენი განსხვავებაა მწერალსა და ადამიან შუა?!

**სოსო** განსხვავებაა ოცნებას და სივამდვილის შუა.

**ანეტა** დღევანდელი შენი ესკიზი მშვენიერი გამომატყველია შენი პიროვნებისა.

**სოსო** ჩემი სულის ტრაღედიისა... ეს უფრო მართალია! შენ გგონია, ჩემთვის ადვილია ზურგი შევაქციო ჩემი სიყმაწვილის აღფთოვანებას, ჩავკლა ჩემში სულის საუკეთესო განძი-შენი სიყვარული და დავემორჩილო ცხოვრების სინამდვილეს? შენ თითონ ამბობ—მწერლობის ნიჭი მაქვსო... მერე ამ ნიჭს რომ უნდა განვითარება, განათლება? მერე რითი? რომელი თანხით? ვსთქვათ ეს და შენ დავქორწილდით...

**ანეტა.** გთხოვ, მაგაზე—ნუ! ჩემთვის ნუ სწუხარ!.. მე დავძლევ ჩემ თავს!.. თუ შენს მართლადა უტყუარს ნიჭს გზასა და საზრდოს მისცემ, ჩემი ბედნიერებაც ეს იქნება... გავათავოთ ამაზე ლაპარაკი.

**სოსო** ხომ არ მიჯავრდები, რომ დღევანდელი ესკიზი შენ გიძღვონ?

**ანეტა** პირიქით, მადლობელი ვარ!.. რამდენი სასოწარკვეთილებაა შიგ?!

**სოსო** ჩემი გულწრფელობაც რომ გწამს?

**ანეტა** შენს გულწრფელობაში არასოდეს ეჭვი არ შემიტანია.

**სოსო** მით უფრო შესაბრალისი ვარ შენგან.

**ანეტა** ამიტომაც ვშიშობ—გამოგადგება-კია ისეთ ცოლად, როგორიცა შენ გეჭირვება?! გაიგებს შენ სულსა და გულს, მიგიხვდება რასმე, ამხანაგობას გაგიწევს? მეშინია, სხვების ბედი არ გეწიოს...

**სოსო** რა ბედი?

**ანეტა** ისა, რომ ბოლოს ნანობენ!

**სოსო** სისულელეა! მშვენივრად ცხოვრობენ და კმაყოფილნიც არიან.

**ანეტა** აგრე გგონია?

**სოსო** თვალები გაახილე და დაინახავ!

**ანეტა** (დიდხანს თვალებში მისჩერებია) გისურვებ ბედნიერებას! (ხელს ართმევს, დაბრუნდება და თვალებს იწმენდს. სოსო ჩაფიქრდება) რეზოს ხმა—ჰეი! ვინა ხართ ცოცხალი ადამიანი? ნიშნობა რომელ სახლშია?

**სოსო** (გამოერკვევა) აქეთ, აქეთ! (კარს უღებს)

**რეზო.**

**რეზო.** სიძეს ვახლავარ! . გამარჯობა, ანეტა!

**ანეტა** ეხლა ერთად არ ვიყავით?

**რეზო** მე მსურს ხშირად მეჭიროს თქვენი სული, იქნებ გაგრძნობინოთ ჩემი გულის ძგერა

**ანეტა** თუ ღმერთი გწამს, სისულელეს თავი დაანებე?

**რეზო** უზენაეს, ჭეშმარიტებას ვამბობ...
ვიწვი და ვიხრაკები! მომდო ცეცხლი, გაანა, ალმური და ალის ქარი! ტანში ჟრუანტელი მივლის, ტვინში ჭიანჭველები დაბობლავენ, თვალებიდგან ცეცხლის ნაპერწკლები მცვივა, სული სდუღს, გული გადმოოის და ყაყრანტოში ერთი სიტყვა-ღა გაჩხირულე—„მი-ყვარხარ!.. აჰ, თვეში ერთი 60 მ. ჯამაგირი მქონდეს, ხელად ჯვარს დავიწერდი!

**ანეტა** მე აღარ მკითხავდი?

**რეზო** შენ პირველად თავპატიჟს გაიდებდი.. მერე დათანახმდებოდი.. ეგრე უნდა!.. მაშ კისერზე რომ ჩამომეკიდო—აღარც მე წაგიყვან. ეჰ, ფული, ფული!!.. სოსოჯან! მოდი ერთი მეგობრობა გამიწიე შენი ცოლის მზითევი შუაზე გავიყოთ!

**სოსო** სიამოვნებით!

**რეზო** მაშინ მეც წამოვიდოდი რუსეთში... ანეტა კურსებზე, შენი ცოლიც... (ანეტას) აბა, შენ ცხონებულ მამას, იმას კი დაადგეს კუპრის ნათელი..

**ანეტა** რა იქნებოდა, როცა დაიბადე შენს სახელზე ერთი ათი თუმანი შეეტანა ბანკში.?. ეხლა რომ მთელი „კაპიტალი“ იქნებოდა... სამაგიეროთ ისეთ ლაქს დაუწერდი საფლავის ქვაზე, ისეთს, რო... რო!..

**სოსო** მართლა, დღეს შენი ლექსი მშვენიერია..

**რეზო** ეჰ, რა გამოვიდა ძმაო?! ვერ გძნობ-რაღაც აკლია, იმიტომ, რომ (თავზე უჩვენებს) მე აქ მაკლია!..

სწავლა მინდა—ფულ იოხტურ!.. აქაც ვერსად ვერავე-რი გავხდი-დავდივარ-ქუჩებს ვზომავ!.

**სოსო** რედაქცია არაფერს გაძლევს?

**რეზო** გაეჩნია, რა უნდა მომცეს? მაინც პრინციპია ლურად დაუდგენიათ- ჰონორარი არვის მისცენ.

**სოსო** ხელსაყრელი დადგენილება!

**რეზო** ჰოდა ამისშემდეგ რა უნდა ჰქნას კაცმა? სწერ იმიტომ, რომ არ შეგიძლია ამსწერო!.. სული მაძ-ღარია, კუჭი-კი-ცარიელი!

**ანეტა** კუჭი რომ სავსე გქონდეს, მაშინ ხომ აღარც ქართველი მოღვაწე იქნები.

**რეზო** ეგეც მართალია! მაშ ვირთავთ, ვირთავთ ქალს

**ანეტა** ოჰო?

**სოსო** რას მიჰქარავ, ბიჭო?!. ვირთავთ კი არა,—მე ვირთავ!

**რეზო** ჰო, უკაცრავად!. ჰო, უკაცრავად! ჰო შენ ირთავ!. მე-კი „მეჯორე" ვიქნები. შენ რაო, ქალბატო-ნო, რომ წარიმარ, ხომ არ ეჭვიანობ?

**ანეტა** გაგეხარდებოდა!!

**რეზო** ცას ვეწეოდი!

**ანეტა** ვერა ვხედავ ეჭვიანობის საბაბს.

**რეზო** სოსოს ცოლს რომ გაუარშიყდე?

**ანეტა** მაშინ-ჰო!

**რეზო** სოსო ჯან, გენაცვალე, მიშველე! ნება მომე-ცი ტასოს გავუარშიყდე ხუმრობით:

**სოსო** თუნდა უხუმროდაც.

**რეზო** მაშ მოიყვანე ჩქარა საპარტარძლო!.. (ყვი-რის) ეჰე!..

**ანეტა** რა გაღრიალებს?!

**რეზო** ქორწილია, ქორწილი!!

**იგორა**

**იაგ.** აა. ვი პრიშოლ?

**რეზო** დიახ, მი პრიშოლ, კაკ მოჟნა!

**იაგ.** სტარი ჩალავექ სმიოცა—ნი ხოროში.

**რეზო** ია ნი სმიოცა... ია ვამ სერიოზნათ ღოვო-რიტ. იაგორ მიტროფანიჩ, საპატარძლო ღდეს რატომ არ გამოდის?

**იაგ.** სიჩას ბუდიტ... იცვამს (სოსოს) ნიშანი ხომ მოიტანე ბეჭედი, საათი?

**სოსო** ბეჭედი მოვიტანე, საათი-კი არა.

**იაგ.** რატომ? უსაათობა როგორ შეიძლება?

**სოსო** რა საჭიროა ამდენი ნივთები? სიტყვა ნივ-თზე ძვირფასია.

**იაგ.** სობსტვენო ღოვორია—სიტყვა ქარია!.. კაკ მოჟნა? საათი უნდა მოართვა საცოლეს და 12 ზე უნდა დააყენო.

**რეზო** რატომ უსათუოთ 12-ზე?

**იაგ.** იმიტომ რომ საათზე 12 ყველაზე მეტი რი-ცხვია... ეს ნიშნავს ცოლქმრობის ხანგძლივ ბედნიერებას...

**რეზო** ახლა რომ საათზე 24 ს

**იაგ.** ი ენტა მოჟნა!

**რეზო** სისულელეა!

**იაგ.** სობსტვენო ღოვორია—უჩონი ნაროდ ნიჩა-ვო ნე პონიმაიტ!

**ანეტა** თავი დაანებე, რას უხირდები?

**რეზო** კაკ მოჟნა?!

**იაგ.** ვი პიშიტე?

**რეზო** წერილებს? ქალებსა ვწერ.

**იაგ.** ნიატ!.. ნა გაზეთ, გაზეთ!

**რეზო** ხწერ... მეოე?

**იაგ.** მიკვირს! კაკ მოჟნა—პიშიტე, კალდა უმ საე-სემ ნიეტუ.

**რეზო** ხა, ხა, ხა!. სობსტვენო ღოვარია—წერას უმი არ უნდა, იაგორ, შენც ძალიან კარგად შეგიძლია დასწერო...

**იაგ.** აბა მე დურაქი ვყოფილვარ?!. (იცინიან) დუ-რაქი!.. ვი ქენა ნი დასტანეშ!.. (სოსოზე) აი. უმნი ჩ ლო-ვექ!..

**სოსო** ნუ გაჯავრდებით, იაგ. ამან ეგრი იცის ხუმ-რობა.

**იაგ.** ხუმრობა ჩვენც ვიცით, მარა ბრიყვია! ახათ გამოაგდეს ღემნაზიიდინ... მაგისაგან ნეჩავო ნე ვიჯდეტ!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ვ. შალიკაშვილი**

# დედა-ბუნების ძირითადი კანონები

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 24)

„ამოწუმპული, მცივანა
ჩანჩალით მიდის ზამთარი
სუნი სდგას გაზაფხულისა—
დრო **საქორწინოდ** მზად არი.
აწ სადაც არის გაჩნდება
მახარობლადაც მერცხალი;
ჭიკჭიკს დაიწყობს საამოდ
ბუნების **ეშხით დამთვრალი**".

**აკაკი.**

განა თუ მარტო მერცხალი? დიდებული ბულბულიცა და სხ. ტყე ველის მცირე მგოსნებიც აქ არიან და ავსებენ გაზაფხულის ჰაერს თვისის საამო ხმებით. აგერ მინდვრის, ბაღის, ტყე-ველისა და მთის ყვავილებიც ამკობენ ტკბილ ბუნებას ბალახ-ბულახი და ნარ-ეკალიც კი იმოსება მწვა-ნისა და ფერადის სამოსელით. ზოგნი თვალწარმტაცის ფერადებით იტაცებენ თვალსა და ზოგნიც მასთან ერთად საამურის სურნელოვნებითაც. დიახ, თვალს იტაცებს, გრძნობებს გვიტკბობს საუცხოვო ჰარმონია! ხოლო შენ-თვის, შენის გრძნობების დასატკბობად კი არ გალობენ ბუნების მგოსნები და აყვავებული მცენარენი, არამედ **საქორწინოდ**. დიახ, **საქორწინოდ**. დიდებული პოეტი გრძნობს, რომ „დრო **საქორწინოდ** მზად არის" და დი-დებული მეცნიერი ჩარლზ დარვინიც უტყუარის დაკვირ-ვებითა და საბუთებით გვიმტკიცებს, რომ „დრო **საქორ-წინოდ** მზად არის". სამყურა ბალახა რო ყვავილოვანი ღერო მაღლა აუშვერია და ყელმოღერებული ამაყად იცქირება, ვარდს რო თვისი გვირგვინის ფერადი ფურ-ცლები სურნელოვნებით შეუმკია, ის რო თვისი ნაზი ყვავილი მორცხვად დაუხრია, ხეხილი რო საუცხოვო ფე-რადებით შემოსილა და ვაზი რო საამურს სურნელოვნე-ბას ავრცელებს თვისის ყვავილებით; ჩიტებს რო ზამთრის სამოსელი გაუხდიათ და ფერადის ფრთა-ბუმბულებით შემოსილან, მინდორ ველისა და მთა-ტყის დიდი და პატარა მცხოვრებლები ამოძრავებულრან, ჩვენი მოზარდი თაობაც რო პეპლებსავით დაჭფრიალობს და ხანში შე-სულებსაც კი გულისცემა უხშირდება და ყველანი კი საე-როთოდ **ეშხით დამთვრალან**—ყოველივე თვის მტერს და

თანაც სიშორეზე ჰფანტავს თვის თესლს, რათა უზრუნველჰყოს იგი წარმოცენებისათვის. თესლის დაპნევის თანავე ეს მცენარე ისვრის მწვავე სითხეს, რომელიც პირდაპირ თვალებში ეპკურება მოვარდნილ ყაჩაღს და თვალებს უწვავს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს მცენარე ჰბაძავს ხოლმე ზოგიერთ მუხლუხოს, რომელიც აგრეთვე მიასხამს ხოლმე თვის მტერს მწვავე სითხეს, რათა უზრუნველჰყოს თვისი ხელუხლებლობა. მიბაძვის მაგალითები იმოდენად მრავალია ბუნებაში, რომ მათ აღსანუსხავად დაგვჭირდებოდა მთელი წიგნის აჭრელება. ჩვენ მოვიტანთ მხოლოდ რამოდენიმე მაგალითს იმისათვის, რომ მკითხველი დარწმუნდეს, თუ რა გვარის შთამომავლობითის სიბრძნის ნიჭით ხელმძღვანელობს ერთი თუ მეორე მცენარე ან ცხოველი თვისის ცხოვრებისა და გამრავლების უზრუნველსაყოფად. „ყოველივე არსება თვისის თავისათვის სცხოვრობს", —.სეთია საზოგადო კანონი და მართლაც ამ ოინების გათვალისწინებითა და დაკვირვებით თქვენ დარწმუნდებით, თუ რა გამჭრიარხობას, წინდახედულობას, ალღოსა და ჭკუასაც კი იჩენს ეს არსება თვის სიცოცხლისა და გამრავლების უზრუნველსაყოფად. აგერ სამხრეთ-აფრიკის ყვავილები ჰიდნორები და სტაპელიები, რომელნიც ვრცელდებიან უდაბნოსა და ცხელს ადგილებში, საცა თარეშობენ ლომები და სხვა ონავრები. აქ ბლომად მოიპოვება წვრილი ბუზი, რომელიც საზრდოობს ხოლმე ლომთაგან დაგლეჯილ პატარა ცხოველთა ლეშებით, სწუწნის მათ ხორცსა და სდებს შიგ თვის კვერცხს. თვისი მტვრის გადასატანად მცენარიდან მცენაზე ასეთს ადგილზე ჰიდნორებსა და სტაპელიებს უნდათ სწორეთ ისეთი ოინი, რომ მიიზიდონ ეს ბუზები და აი, როგორ მოუხერხებიათ ეს საქმე. არა თუ მათი ყვავილების ფერი წააგავს დამპალს ხორცს, არამედ სუნიც ისეთივე მყრალი აქვსთ და ბუზიც სტყუვდება და ხან ერთს ყვავილს დააჯდება კვერცხის დასადებად და ხან მეორეს და თანაც გადააქვს მტვერი ერთისაგან მეორეზე.

აგერ პეპელა დაჰფრინავს, დაფარფალობს. თქვენ მოისურვეთ მისი დაჭერა თუ არა, იგი თვალსა და ხელ შუა გიქრებათ, თითქო მოჩვენება ყოფილიყოს. პეპელამ თავს უშველა, იგი ისეთს ხის შტოს დააჯდა, რომლის ფოთოლსაც სწორეთ მისი ფრთების ფერი აქვს ან, თუ გსურთ ამ პეპელასაც სწორეთ ისეთივე ფერი აქვს, როგორიც ფოთოლს, აგერ თქვენის თვალის წინა ჰზის და თქვენ კი ვერა ჰხედავთ. პეპელა ფოთოლსა ჰბაძავს, თქვენ ხის ფოთოლი გგონიათ და ის კი პეპელაა. ან კიდევ კალიები და მათგვარი სულიერები ისეთის ოინებით იმოსებიან, რომ რაღა შენი თვალთმაქცნი და გაიძვერები! ხშირად ერთი ცხოველი თვისის გარეგნობით მეორესა ჰბაძავს ისეთის სისწორით, რომ ძნელი წარმოსადგენია. ცხელს ქვეყნებში მრავალგვარი გველია. მათში ზოგნი შხამიანები არიან და ზოგნი არა. ზოგნი ამ უკანასკნელთაგანი ისე დაემზგავსება ხოლმე თვისის ფერადის კანითა და მოყვანილობით შხამიან გველს, რომ თუ დახელოვნებული არა ხართ სხვა და სხვა გვარ გველების გამოცნობაში, ვერას გაიგებთ. რასაკვირველია, ამას სჩადის იმიტომ, რომ დააშინოს თვისი მტრები და უზრუნველჰყოს თვისი კეთილდღეობა.

ხშირი მიმბაძველობაა ხოლმე პარაზიტების შორისაც და განსაკუთრებით მწერებში. კრაზანასა ჰყავს პარაზიტები, რომელნიც გარეგნობით მათ ემზგავსებიან და ამიტომაც იოლად შედიან მათ ფიჭებში და ჰპარავენ საზრდოს. აგრეთვეა დიდი მიმბაძველობა ჭიანჭველების პარაზიტების ც. რომელნიც დაუბრკოლებლივ შედიან ჭიანჭველების სადგურებში და უზრუნველად ატარებენ მუქთახორულს ცხოვრებას.

თქვენ მოგეხსენებათ, თუ რა დიდი განსხვავება არის მამალსა და დედალ ფრთოსანთა შორის. დედალი ფარშავანგი სრულებითაც არა ჰგავს თვის საუცხოვო ფერადებით აჭრელებულსა და მდიდრულად შემოსილს მეუღლეს. ეს განსხვავება მოხდა მიტომ, რომ დედალი ფარშევანგი იძულებულია აჯდეს თვის კვერცხებს ბარტყების გამოსაჩეკად და ამიტომაც მისი ფრთა-ბუმბული ფერით უნდა ჰგვანდეს იმ არემარეს, სადაც არის მოწყობილი მისი ბუდე და არამც და არამც არ ცხადჰყოს თვისი ბინადრობა და ვინაობა, რათა თავი დაიცვას მრავალ ონავროგან, რომელნიც ეტანებიან მის ჩიჩიას. ხოლო კოხტა და ლამაზი სამოსელი მამალი ფარშევანგისა საჭიროა მისთვის დედლის მოსახიბლავად.

ვიმეორებ ის მრავლისაგან მრავალი ოინები, რომელთაც სჩადის ბუნება თვის უცვლელთა და მძლავრ კანონების გასამართლებლად იმოდენად მრავალნი და ფერადები არიან, რომ მათ აღსნუსხად დაგვჭირდებოდა მთელი წიგნების დაწერა.

ხოლო ისიც, რაც აქ მოვიტანეთ, საკმაოა იმისათვის, რათა იოლად გავითვალისწინოთ და შევიგნოთ ბუნების ის ძირითადი კანონები, რომელნიც ზემოდ აღვნიშნეთ.

იმედია, თქვენ მიხვდით, რომ ეს ოინები ბუნებისათვის საჭირონი იყვნენ ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად არსებობისათვის ბრძოლის დროს, რომ გვარისათვის სასარგებლო თვისებები განუვითარდათ ამა თუ იმ სხეულებს ბუნებრივისა და სქესობრივის არჩევის მეოხებით; რომ სასარგებლო თვისებები გადაეცათ შთამომავლობებს, როგორადაც უზრუნველმყოფელნი მათი გვარის გამრავლებისა და კეთილდღეობისათვის. ხოლო აქ თვალწინ გვიდგება ასეთი, საკითხი თუ რა გზითა და საშუალებით მიაღწევს ხოლმე აღნიშნული სხეულები იმ ცვალებადობასა და ფერადობას, რომლითაც ესოდენ მდიდარია ორგანიული ბუნება?

ამ საკითხს სრულებით გარკვევითა და უნაკლულოდ ცხადჰყოფს ის დაკვირვებანი და ცდანი, რომლებიც მოახდინეს და დღესაც ახდენენ მეონიერნი საქვებისა და ცხოვრების პირობების შეცვლა აფერადებით. შემჩნეულია, რომ როცა ცხოველთა შორის საკვები მცირე და უყუათოა, მომეტებულად, თუ არ განსაკუთრებით იბადებიან მამრობითი სქესის ან საშუალო სქესის (აკუშები) სხეულები, ხოლო, როცა საკვები საკმაო და ყუათიანია, მდედრობითი სქესისა. აგრეთვე შემჩნეული და დამტკიცებულია, რომ თუ ფრთოსანთ ერთი საკენკი აჭამეთ, ფერადი ფრთა ბუმბული უჩნდებათ და თუ მეორე—სადა და უფერადო. ერთმა მეცნიერმა სიმინდის მარცვლების სხვა და სხვა პირობებში დათესვითა და კვებით ისეთი ფერადი ერთეულები შექმნა, რომ დაბოლოს ვერც კი იცნობთ თუ იგი წარმოსცენდა სიმინდის თესლიდან. ამ გვარის საკვებისა, სითბო-სიცივის, სინათლის, წყლის მეტ-ნაკლებობის, ჰაერის ფერადობისა და სხვა პირობების ცვალებადობის თანახმად ცვალებოდობენ ორგანიულ არსებათა სხეულებიც და ერთხელ საუკეთესოდ შეიარაღებული სხეუ-

ლი იმარჯვებს არსებობისათვის ბრძოლაში და სჯაბნის შეუიარაღებელთა და შეუგუებელთ. ეს სასარგებლო თვისებები გადადიან შთამომავლობიდან შთამომავლობაში და, რადგან პირობები დედა-მიწის პირზე მუდამ ცვალებადობის პროცესში იმყოფებიან, ამიტომაც თვით ის სხეულებიც ცვალებადობენ და აფერადებენ მთელს ბუნებას. რომ ეს მუდმივი ცვალებადობის პროცესი არა, ბუნებაში დამკვიდრდებოდა, ერთფეროვნება, რაიც იქნებოდა სიკვდილის მოასწავებელი, რადგან სრულის თანასწორობის, ერთფეროვნობისა და გაერთიანების მომასწავლიბელი არის სამარე და არა სიცოცხლე. ის სიცოცხლე, რომელიც თავით თვისით არის ერთად-ერთი და მუდამ ცვალებადობითი, რომლის განკერძოებული, სხვა არსებათაგან ჩამოშორებული — დაუკავშირებული მატერიის არსებობა არ შეიძლება, რადგან ეს არსებობა განხორციელებულია თუმცა კერძოდ, მაგრამ მსოფლიოს სხვა ნაწილებთან მჭიდროთ შეთანხმებითა და შეკავშირებით. ამ შეთანხმება — შეკავშირებაში ჩამარხული მატერიის ევოლიუციის საიდუმლოებაც.

მაშასადამე მსოფლიოს ევოლიუცია სწარმოებს მის ნაწილთა შეკავშირების გამრავლებაში ამ ნაწილთა და ნაწევრების, დიფერენციაციის გზით. რაც უფრო მკვიდრი და რთულია ეს შეკავშირება, მით უფრო თვალსაჩინო და მკვიდრია ურთიერთობა. **ივანე ელიაშვილი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)



**მათე იანქოშვილი**

ჩვენს ქვეყანას აგერ-იგერ ჰყავს ჩუმი საზოგადო სასარგებლო მუშაკნი. ერთი მათგანია ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე მათე იანქოშვილი.

25 წ. მეტია რაც სხვა და სხვა რუსულ-ქართულ გაზეთებში დრო-გამოშვებით მონაწილეობს. 1905 წ. ტელეგრაფის ხაზ-წერტილიანი ნიშნები ქართულ ანბანს შეუთანხმა, რაიც დაბეჭდილი იყო მის მიერვე შედგენილ დასურათებულ ერთად-ერთ ამ გვარ ქართულ წიგნში „ელექტრონი და საოცარი მანქანები“. ეს ნიშნები საქართველოს მთავრობამ მცირედის ცვლილებით დაამტკიცა და ტელეგრაფი ეხლა მითი ხელმძღვანელობს.

1904 წ. როდესაც რევოლიუციონერთა აბობოქრებული აუარებელი ზღვა ხალხი თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას მუქარით მიადგა, ძველი რეჟიმის მთავრობა აივნიდან ხალხს ამაოდ ამშვიდებდა. ამ დროს უცბად აივანზედ გამოჩნდა იანქოშვილი ფორმის ქუდით და წითელი პერანგით, ხალხს წითელი ქაღალდის ნაკუწები გადაუბნია და გადასძახა: „ჩვენც თქვენთანა ვართო“. ხალხი დაშოშმინდა და რევოლიუციონურ სიმღერებით გოლოვინის პროსპექტისაკენ წავიდა. მაშინდელმა მთავრობამ, როცა ფეხი მოიმაგრა, იანქოშვილი კინალამ სამსა ურიდან დაითხოვა, მაგრამ მან მოხერხებულად თავი იმართლა. თუმცა დაარჩინეს, მაგრამ, როცა დრო იხელეს, სახელმწიფო სახლიდან დაითხოვეს შუა ზამთარში, და აღარც წარმატება მისცეს.

1917 წ. ფოსტის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ იყო თითქმის ერთხმად არჩეული.

თბილისის დაწესებულებებში ქართველ მოსამსახურეთა დამფუძნებელ კრების ყრილობამ თავის წევრად აირჩია და მასვე დაავალა ამ საზოგადოების წესდების შედგენა. არჩეულია თბ. ფ.-ტელ. მოსამსახურეთა კულტურულ-განმანათლებელ სექციის და თბ. ფოსტის კანტორის ამხანაგთ შემნახველ კასის თავმჯდომარედ.

რწმენით უპარტიოა.

დასწერა ორიგინალური ტრანსფორმატიული კომედია, რომლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მოქმედ პირთა როლებს ერთი კაცი ასრულებს.

დრო გამოშვებით სცენაზედაც მონაწილეობს როგორც სცენის მოყვარე, მკითხველი და მოყვარე-მუსიკოსი. სწერს წერილებს, მოთხრობებს, ლექსებს, სამეცნიერო ამბებს და სხ. ცალკე გამოცემულია მისი „ელექტრონი და საოცარი მანქანები“ თბ. 1895 წ. შეადგინა „ცაცინა თელა“ საყმაწვილო ამბები თბ. 1887 წ. და სხ. **ხი**

# გულკეთილი ტერტერა

**სცენა**

თბილისში გარდაიცვალა ერთი მდიდარი სომეხივაჭარი. როცა მიცვალებული უნდა გაესვენებიათ, ქვრივმა შესტირა:

— ვაი, ვაი, ვაი, ტერტერჯან, ტერტერჯან, ტერტერჯან! ჩემი ქმარი რო მოკვდაო, ასე მითხრაო: ოცი ათასი მანათი ფული მაქვს და ტერტერას გადაეციო...

— ბიჭოს! ეს ძალიან კარგი უთქვამს! — უთხრა ტერტერამ: ბა, ერთი მძიმედ გამოასვენეთ. — გადასძახა და დიდის სასოებით ხმაგაგრძელებით დაიწყო: „სურფ ასტვაწ, სურფ იემ ზოვ, სურფ იევამ, ვორხაჩეცა, ვასუმეზ, მე ვორღორმიაააა!..“ (გააბა დიდის მოწიწებით).

მიცვალებული გაასვენეს.

— ვაი, ვაი, ვაი, ტერტერჯან, ტერტერჯან, ტერტერჯან! ჩემი ქმარი რო მოკვდაო, ასე მითხრაო: ტერტერამ ჩემი ორივე შვილი ლიცნაზიაში მიაბაროსო! — შესტირა ქვრივმა.

— აალილეოა, — გააბა ტერტერამ, ვითომ და ვერ გაიგო!

— ვაი, ვაი, ვაი, ტერტერჯან, ტერტერჯან, ტერტერჯან! ჩემი ქმარი რო მოკვდაო, ასე მითხრაო: შენც ადექი და ტერტერას მიებარეო!..

— ბიჭოს, ეს სუყველაზე კარგი უთქვისო, (აქვიტა ყური ტერტერამ და მიუბრუნდა: აბა, შვილო დაასვენეთ, ერთი მოკლე პანაშვიდი გადავუხადოთ!..

დაასვენეს.

— ხაღაღუთიან, ტერ ალჩენსჲ!.. მგალობლებმა დასძახეს გაგრძელებული ხმით: ტეერ ვოოღოორმია!

— ვაი, ვაი, ვაი, ტერტერჯან, ტერტერჯან, ტერტერჯან! ჩემი ქმარი რო მოკვდაო, ასე მითხრაო: ოცდაათი ათასი თუმანი ვალი მაქვს და ტერტერამ გადამიხადოსო!

— რააო?! შესძახა ტერტერამ და მუხლში ჩაირტყა: ვა, ეს რა მიუქარავს! აბა, ჰა, ჩქარა ასწიეთ, — დასძახა ტერტერამ და გაუჩქარა: ხორუთ მეზ, იეევოს კანჩელის, ვორ აის მაუთანეცავ, ჰოვი, ელგენ უნთრეშ თუკ. ტან აველის საშხალი, წნაროვ არაქრი იბეთლეშ ვემ ქალაქის, ვორთიკ მართკანც, ოხნეცექ ზივან მერ მარმალავ, ამბაველი!.

და ისე მირბოდა, რო მიცვალებული კარგა მანძილზე ჩამორჩენილი ძლივს მიჰქონდათ.

გაგონილი **გ. ლეკიშვილისაგან**



**ხაშურის სახალხო გვარდიის სამუსიკო გუნდი**

1 —ნ. სიხარულიძე — გვარდიის თავმჯდომარე, 2 — ნ. ბოგოსლავე-ცი, მუსიკის ხელმძღვანელი და 3 — თ. სხილაძე — მისი ამხანაგი.

ხაშურის სახელოვანი სახალხო გვარდიის მუ-სიკის გუნდი, შემდგარია 28 კაცისაგან. მისი კაპელმეისტერია — ნიკ. ვას. ბოგოსლავეცი. მუსიკის კომისიაში შედიან: თად. სხილაძე, დავ. სხილაძე, ლადო ქავთარია, გორდეევი და ქედლიშვილი. ორკესტრი მომზადებულია სა-უკეთესოთ და დიდი სიყვარული აქვს დამსახუ-რებული ხალხში. ხსენებულმა ორკესტრმა ამ მოკლე ხნის განმავლობაში დასდგა სახალხო კონცერტები შემდეგ ადგილებში: ხაშურში, გორში, ცხინვალში, სურამში, ყვირილაში და სამტრედიაში. ორკესტრს მიზნად აქვს ამ ზაფხულში სოფლებში მოაწყოს სახალხო-უფასო კონცერტები. რეპერტუარი კ. ფოც-ხვერაშვილისა. ორკესტრი დიდს სამსახურს უწევს საზოგადოებას: ეხმარება წარმოდგენებს უფასოთ, ღებულობს მონაწილეობას სოფლებ-ში დადგმულ წარმოდგენებში და შემოსავ-ლიდან განსაზღვრულ პროცენტებს იღებს ამა-უ იმ საქველმოქმედო საქმისათვის. ორკესტრის ხელ-ძღვანელი ბ. ნ. ბოგოსლავეცი მეტათ შეგნებული და ატიოსანი პიროვნებაა, დიდათ მომზადებული ლოტბა-რია. ამის წყალობით მისი ორკესტრი ერთ საუკეთესო ამუსიკო გუნდათ უნდა ჩაითვალოს გორის მაზრაში. აზოგადოება ნაკლებათ იცნობს ამ ადამიანის მუშაობას ვენი მუსიკისა და ხელოვნების აყვავების საქმეში, მა-რამ, როდესაც მას გაიცნობენ, როდესაც მის მიერ ექმნილ და გადმოღებულ ქართულ და ევროპიულ ჰანგებს მოისმენენ, მაშინ დაფასდება მისი ღვაწლი და თამამათ და მიუდგომლათ შეუძლიან სთქვას მსმენელმა — დიახ, მოვისმინე მუსიკა და ეს მუსიკა კი გამოცდილი კომპოზიტორის ნიჭს უნდა მიეწეროს. დადგება დრო, როდესაც მუსიკით და ხელოვნებით გატაცებული ჩვენი ხალხი დააფასებს ამ მუსიკის ხელმძღვანელს და, აი, მა-შინ კი შეგვიძლია ბ. ბოგოსლავეცს მივუძღვნათ დაფნის გვირგვინი.

**ნიკო გურული**

---



**ბარნაბა გედევანის-ძე ლაბაძე**

ახალ. გვარდიის საგანგებო ბათალიონის უფროს ოფი-ცერი, ადერბეიჯანთან შეტაკების დროს მოკლული.

იმ მებრძოლ-გმირთა შორის, რომლებიაც თავი შე-სწირეს სამშობლოს და თავისუფლების დაცვას და რო-მელთა ხსოვნა-სახელი ამოუშლელი იქნება სანამ იარ-სებებს ქართველი ერი და მისი ისტორია, ბარნაბა ლა-ბაძე საპატიო ადგილს დაიჭერს. ბარნაბამ თვისი ხანმო-კლე ცხოვრება გაატარა მუდმივ ბრძოლაში და ბრძოლა-შივე განუტევა სული. დიდხანს იყო რუსის ჯარში, იბრძო-და გერმანია, ავსტრიის ფრონტებზე. შემდეგ, როდესაც რუსის ჯარი ბოლშევიკებათ მოინათლა და ფრონტი დასტოვა, სამშობლოსკენ გამოეშურა, ვითარცა თავის ერის ერთგული შვილი, რომ მისი თავისუფლების დაც-ვის ბრძოლაში ჩაბმულიყო. სამშობლოში ჩამოსვლისთა-ნავე ჩაეწერა მესამე ქართულ პოლკში აქტიურ მონაწი-ლეობას იღებდა სამეგრელოში მეამბოხე ბოლშევიკების ასალაგმავათ, სადაც კამანდორობდა ოფიცრებისაგან შემდ-გარ სამოც კაციან ნაწილს. შემდეგ, როდესაც რესპუ-ბლიკის ყოველ კუთხეში ალაგმულ იქმნა „სოციალიზმის დამამყარებელთა“ ბრძოლები, სწავლის გაგრძელებას შე-უდგა; მაგრამ ამ დროს საქართველოს საზღვრებისაკენ წამოემართა შავი გენერალ დენიკინის კონტრევოლიუ-ციონური ჯარები. ბარნაბმა ხელათვე მიანება სწავლას თავი, სახალ. გვარდიის საგანგებო ბათალიონში ჩაეწერა და თავგანწირვით იბრძოდა მოხალისეთა წინაალმდეგ: გაგრის, სოფლებ მეხადირის, 800 დესიატინის, მელიგრიბის, ხრი-სტაფოროვკას და სხ. აღების დროს. მას შემდეგ არც მო-შორებია სახალ. გვარდიას, და თუ საიდანმე რაიმე სა-ფრთხე იჩენდა თავს, ის პირველი იღებდა ხმალს ხელში.

მებრძოლი ბრძოლაში დაეცემა ხოლმე. და ბარნა-ბიც ბრძოლაში ველზე დაეცა მაისის 12 ხრამის ხიდ-თან „წითელ“ ადერბეიჯანელებთან შეტაკების დროს.

განისვენე ტკბილად ძმაო ბარნაბი! შენებრ გმირე-ბის სახელები ოქროს ასოებით იქნება ჩაწერილი თქვე-ნივე უმანკო სისხლით შეღებილ ისტორიის ფურცლებში.

**ტიფო სურგულაძე.**

# როგორ იდღესასწაულეს

## თბილისში ჟურ. „თეატრი და ცხოვრებ"-ს 10 წ. არსებობა *)

ჟურნალის თანამშრომელ-თანამოაზრეთა კრებამ თიბათვის პირველ რიცხვებში აირჩია კომისია: სვ. წერეთელი (თავმჯ.), ვ. ავალიანი (გამგე), ს. ილორელი (მდივ.), ი. გიგაიშვილი (ხაზინადარი) და კ. სოლოღაშვილის ასული. ამათ დაევალათ სადღესასწაულო საღამოს გამართვა და „თეატრი და ცხოვრები"-ს სახელობის ხელოვანთა წრის შედგენა საკუთარი ფონდით, რომელიც შეივსებოდა შემოწირულებით და წარმოდგენა-საღამოებიდან დარჩენილ თანხით. დრამატიულ თხზულებათა კრებულების გამოსაცემად. კომისიამ პირველი საღამო გამართა ივნ. 13 „არტისტ. საზ-ის თეატრში".

თუმცა კომისიას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა (იმ დღეს თითქმის ყველა კლუბსა და ბაღში სეირნობები იყო, შემდეგი საშინელი ავდარი), მაინც ამ საღამოს ბლომა ხალხი დაესწრო.

პირველ განყოფილებაში „თეატრი და ცხოვრები"-ს თანამშრომელმა პროფ. ს. ავალიანმა წაიკითხა მეტად საყურადღებო ლექცია „ხელოვნების აღორძინება". ლექციის შინაარსი ოპტიმისტური ხასიათის იყო, დღესასწაულთან დაკავშირებული. ლექტორი მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა საზოგადოებამ (ეს ლექცია დაბეჭდილია „თ. და ც. № 23).

დაიდგა იოსებ იმედაშვილის დრამატ. მინიატიურა 1 სურ. „ალების ცეკვა". პატოლოგიურ ტიპს—შოთას ასრულებდა ახალგ. მსახიობი ნ. რიჟამაძე. ცხოვრებისგან გარყვნილ ინტელიგენ—გიორგის—ვ. მატარაძე, სალოს—გ. ივერიელი. პიესამ მხატვრულად ჩაიარა და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა. ლამაზი იყო დეკორაციაც. შემდეგ წარმოადგინეს სვ. წერეთლის მხიარული შარჟი „რედაქციაში". პიესის სიუჟეტი აღებულია რედაქტორ იოსებ იმედაშვილის და მის თანამშრომლების ცხოვრებიდან. პიესაში მონაწილეობდნენ მსახიობების გარდა ჟურნალის თანამშრომელნი. რედაქტორის (ი. იმედაშვილის) როლს ასრულებდა მსახიობი ვიქტორ მატარაძე, რომელმაც საოცრად განასახიერა ნაკისრი როლი; სტუდენტს და ფუტურისტ ს. ილორელი, დრამის მსახიობს ნ. რიჟამაძე, მსახ.-ქალს ა. ავალიანი, მოცეკვავეს—ნინო წერეთელი, უცნობის—ს. წერეთელი (ავტორი); მეარღნეს—ი. გოგიშვილი. ბიჭი—მიქელაძე. პიესებს რეჟისორობდა ვ. მატარაძე.

მესამე განყოფილების წინ აიხ და ფარდა. სცენაზე გამოჩდენ დები თარხნიშვილები ავის გუნდით ეროვნულ ტანისამოსებში, ჟურნალის თანამშრომელნი, მიმლოცველნი და სხ. გუნდმა შემოსძახა სადიდებელი და მგოსნებმა ვ. რუხაძემ და ი. გრიშაშვილმა შემოიყვანეს იუბილიარი სცენაზე, ტაშის და ვაშ ს ძახილზე დაიწყო მილოცვები. ჟურნალის თანამშრომელთა სახელით მიულოცა ს. წერეთელმა და მიართვა დიდი კალათი ყვავილებით, თანაც დასძინა: „მთელი შენი ცხოვრება—ეკლიანი სასიარულო გზა იყო და მინდოდა ეკლიანი გვირგვინი მომერთვია შენთვის, მაგრამ ამხანაგებმა მომაგონეს: საქართველოში გაზაფხულია და აჰა შენც ეს გაზაფხულის ყვავილებით". ვ. ავალიანმა წაიკითხა ზოგიერთი დეპეშები და აგრეთვე მილოცვა ქართველ ბეჭდვითი ამხანაგობისა, რომელმაც გადასცა იუბილიარს სასარგებლოდ 20,000 მან. მგოსანმა ს. ერთაწმინდელმა ჯარის კაცების ჯგუფის სახელით მგრძნობიარე სიტყვა სთქვა და შვენიერი, მის მიერ მიძღვნილ ლექსით დაამთავრა. იყო კერძო მილოცვებიც. იუბილიარმა მიიღო კიდევ რამოდენიმე თაიგული ცოცხალ ყვავილებისაგან. მან მადლობა გადაუხადა საზოგადოებას. გუნდმა უმღერა სადიდებელი და საზოგადოების „ვაშას" ძახილზე ჩამოეშვა ფარდა.

შემდეგ განყოფილებაში დაიწყო პოეტების გამოსვლა. წაიკითხეს თავიანთი ლექსები: ვ. რუხაძემ, ი. გრიშაშვილმა, ვარდოშვილმა და ჭანჭათელმა. საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა, განსაკუთრებით პირველი.

ანნა ავალიანმა ლამაზად წაიკითხა ბრძოლის სურათი აკაკის „თორნიკე ერისთავიდან".

სამუსიკო ნაწილში იმღერეს დებმა თარხნიშვილებმა გუნდით ეროვნული სიმღერები და საოპერო სოლისტებმა ნინო ფავლენიშვილმა და დ. აკოფაშვილმა ქართული რომანსები. სამწუხაროდ რამდენად ლამაზი იყო შესრულება რომანსების სოლისტების მიერ, იმდენად სუსტი აკომპანიატორშა იყო გოლდმანის ქალი. ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა ნაშუალამევის 12 ს.

მეორე სადღესასწაულო საღამო-სეირნობით გაიმართა ივნ. 27 მე 2-რე ქართულ კლუბში, რომელიც დაიწყო საღამოს 6 საათიდან. კლუბის კარები დამშვენიერებული იყო გირლიანდებით და წითელ ბაირაღებით.

ბაღში უკრავდა სიმებიანი ორკესტრი და ზურნა. იყო ბევრი გასართობი აუარებელი ხალხი მოაწყდა საღამოს; საზაფხულო თეატრის შენობაში ტევა არ იყო, დაიდგა იგივე პიესები: იოსებ იმედაშვილისა „ალების ცეკვა" და სვ. წერეთლის „რედაქციაში". მონაწილეობდნენ ძველები, გარდა ბარიტონის როლის ამსრულებელის—ქაშაქაშვილის მიერ.

წარმოდგენის შემდეგ დაიწყო მილოცვები „თეატრის და ცხოვრების" სახელზე დაარსებულ ხელოვანთა წრის წარმომადგენელმა იუბილიარს მილოცვასთან ერთად ამცნო წრის გადაწყვეტილება, იუბილიარის საპატიო თავჯდომარის არჩევის შესახებ. კომისიის სახელით მიართვა ახალგაზდა მხატვარ კახიძის მიერ ნახატი დიდი სურათი იოსებ იმედაშვილისა ჩარჩოში ჩასმული. უქცნობ მწვანეულობით მორთული და წითელ ვარდებით შემკული გრძნობიერი სიტყვით მიმართა ვ. ავალიანმა, აგრეთვე გრძნობიერ და შინაარსიან სიტყვებით მიმართეს ძველმა მუშამ და სახალხო მწერალ-მოღვაწემ იოსებ გარსევანიშვილმა. მან მოიგონა იოსების წარსული პოლიტიკური ღვაწლი და გამარჯვება. სიტყვა ლექსით დაათავა. სახალხო მგოსანმა გ. შინატეხელმა მდაბიო, მაგრამ ძლიერ სიტყვაში მოიხსენია იოსების მუშაობა ორთაჭალის ქარხნების მუშათა გათვითცნობიერების საქმეში; გიგოშვილმა მოულოცა. იუბილიარმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და მიმლოცველთ.

საკონცერტო განყოფილებაში შვენივრად იმღერეს საოპერო სოლისტებმა: დ. აკოფაშვილმა, ა. ჭუმბურიძემ, ქაშაქაშვილმა—ქართული რომანსები. კარგი აკომპანიატორშა იყო თამარ შავერზაშვილი. მოცეკვავე ნინო წერეთელმა საუცხოვოდ იცეკვა აღმოსავლეთურ ჰანგებზე. თარზე ოსტატურად უკრავდა მ. დევაძე. დაბოლოს ამერიკული აუქციონი გაიმართა. ხელმძღვანელობდა ი. ზარდალიშვილმა 124 რომელმაც ბატკანი 21,000 გაჰყიდა. ბაღში საერთო ლხინი იყო. საღამოს ნარისჯინად ხელმძღვანელობდა ვ. ავალიანი.

**კომისია**

---

*) იბეჭდება სადღესასწაულო კომისიის დადგენილებით და მოთხოვნილებით. რედ.

# წვრილი ამბები

**მომღერლები** ი. სარაჯიშვილი, ა. ინაშვილი, ნ. ფავლენიშვილი და მემუსიკე ჟანა ფალიაშვილი საკონცერტოდ დასავლეთ საქართველოსკენ გაემგზავრნენ. რეპერტუარი ეროვნულია.

ამავე მიზნით მარიობისთვის პირველ რიცხვებში გაემგზავრებიან მიხეილ ნანობაშვილი, დავით აკოფაშვილი და სოფიო გაბაშიძე.

**ხელოვანთა წრე**, რომელმაც გამართა ორი სამხატვრო საღამო არტისტიულ საზოგადოების თეატრში და მეორე ქართულ კლუბში, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება"-ს 10 წ. არსებობის აღსანიშნავად, ივლისის 18 მეორე ქართულ კლუბის თეატრში მართავს მორიგ წარმოდგენას. მიდის ს. ილორელის დრამა 4 მოქ. „ობოლი" და სვ. წერეთლის ახალი კომედია „წითელი ალმატებულება".

**ქართველ მომღერალთა** პროფესიონალურ კავშირის გამგეობა ადგენს საოპერო ამხანაგობას, განსაკუთრებით ქართველ ძალებისაგან, ამხანაგობას სეზონი ექნება ზუბალაშვილის და ნაძალადევის სახალხო სახლებში. იწვევენ შესაფერისად მომზადებულ მომღერლებს, ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება კავშირის კანცელარიაში 15 ივლისამდე. საღამოს $6^1/_2$ საათ. $7^1/_2$ - მდე ა. სარაჯიშვილთან, პეტრედიდის ქუჩა № 8.

**ქართულ სამუსიკო** საზოგადოებას განზრახვა აქვს ბათომში გაალოს ფილიალური განყოფილება, მალე მოხდება წევრთა საერთო კრება.

**სვ წერეთლის შარჟი** „რედაქციაში", რომელიც დაწერილია ჟურნ. „თეატრი და ცხოვრები"-ს 10 წლ. არსებობის შესრულების გამო, მალე დაიბეჭდება ცალკე წიგნად დასურათებულიც.

**სახელმწიფო თეატრში** ახლო მომავალში მოსალოდნელია რეორგანიზაცია, ამ მიზნით მომღერალთა კავშირი და სამუსიკო საზოგადოების გამგეობა სათანადო პროექტები წარუდგინა ხელოვნების კომის-ას.

**თბილისის კონსერვატორიის** სამხატვრო საბჭომ დაადგინა: გამოეცალკავოს რუსის სამუსიკო საზოგადოებას და ეთხოვოს, მიეცეთ მათ სახელმწიფო უფლებები.

**ოპერა „თამარ ცბიერი"** კომპ. მელიტონ ბალანჩივაძემ უკვე დაასრულა. შესანიშნავ შთაბეჭდილებას სტოვებს ბოლო სურათი, თამარის სიკვდილი.

**ვ. ბალანჩივაძემ** დასწერა ვოდევილები: 1) სასტუმრო „მოდი ჰამეთ" და 2) „ნათლი მამა". თითო მოქმედებიანი. მასვე დაუწერია „ცხრა იანვარი" 1905 წ. ამბებიდან, 5 მოქ. ეპილოგით. პიესამ მახლობელთ წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

**ახალი წიგნები**

**საქართველოს კონსტიტუციის პროექტი**, შედგენილი და გამოცემული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, 40 გვ. ფ. 25 მან. ეს წიგნი მეტის მეტად საჭიროა ხალხში გასავრცელებლად და კარგი იქნება სულ უფასოდ თუ არა, ხელმისაწვდენ ფასებში მაინც დაიბეჭდოს და ხალხში მოიფინოს, რომ ყველამ იცოდეს თავისი სამშობლოს ძირითადი კანონები.

Экономическiя послѣдствiя Мiровой войны, — проф. С. Аваліани. 16 გვ. ფ. 10 მან.

# მილოცვები:

ბატონო იოსებ!

ყველაფერი ამაოა ერთობაც და სიცოცხლეცა,
ხელოვნება, სიყვარული და მუსიკა თუ დაეცა.

ჩვენც სხვებთან ერთად სულითა და გულით ვდღესასწაულობთ თქვენი ჟურნალის 10 წლის შესრულების თავს. გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას სალიტერატურო ჭანგრძლივ და დაუღალავ უსაზღვრო მოღვაწეობის თავისუფალ საქართველოს განუზომელ სივრცეში.

სალამი და დღეგრძელობა მკვდრეთით ამგვარ სამშობლოის ღირსეულ მოქალაქე—ხელოვანს.

მგოსანი **კოკი ებრალიძე.**

მომღერალი გუგული **გვათუა-ებრალიძისა.**

გ ა მ ო ვ ი დ ა

# ნოე ჟორდანიას

## თხზულებათა პირველი ტომი.

**თბილისის ხელის მომწერლებმა** უნდა მიიღონ გამომცემლობის კანტორაში რუსთაველის პრ. № 26. ვისაც შემოტანილი აქვს ბე ყველა თხუთმეტი ტომის 450 მან თითო ეკზემპლიარზედ, იმათ უნდა წარმოადგინონ ნაღდათ 70 მან.

სხვა ხელის მომწერთა მიერ შემოტანილი ბე დარჩება გამოცემის დასრულებამდის და ამ ჟამად ნაღდათ უნდა შემოიტანონ წიგნის **მთელი ღირებულება 100 მ.**

**პროვინციის ხელის მომწერლებს** ამავე წესით გაეგზავნებათ წიგნი ფასდადებით ფოსტით.

**ქუთაისში კი ხელის მომწერლები** მიიღებენ წიგნს გამომცემლობის სააგენტოში ისიდორე კვიცარიძესთან.

ხელის მოწერა გაგრძელდება 15 ივლისამდის.

(5—3)

# გამომცემლობა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა

აცხადებს, რომ იგი შეუდგა წიგნების გამომცემლობას და აწარმოებს ამ საქმეს ფართო მასშტაბით.

**უ კ ვ ე გ ა მ ო ვ ი დ ა გ ა ს ა ს ყ ი დ ა თ:**

1) Красная книга (რუს. ენ.) ჟარიბისა.
2) ნოე ჟორდანიას თხზულებათა I ტომი.

**იბეჭდება და მალე გამოვა:**

1) ახალი დროის ისტორია პროფ. ს. ავალიანისა.
2) ბუნების სარკე I ნაწ. ივ. ელიაშვილისა.
3) მსოფლიო ისტორია I, II და III ნაწილი სახალხო სკოლებისათვის ალ. წერეთლისა.
4) ბოტანიკა სეით იაშვილისა.
5) ევროპა (გეოგრაფია) მისივე.
6) ქართული ლიტერატურა მე 18 და მე 19 საუკუნეში 16 წიგნათ გ. ჯავახიშვილისა.
7) თხზულებანი შიო არაგვისპირელისა 5 წიგნათ.
8) არითმეტიკულ ამოცანათა კრებული I ნაწილი მთელი რიცხვები I კლასის კურსი **ს. დათეშიძისა**
9) ბოტანიკა **არკ. ჩხენკელისა**
10) ბუნება I ნაწ. მისივე

წიგნების საწყობი მოთავსებულია ამხანაგობის კანტორასთან (რუსთაველის პროსპექტი № 26), საიდანაც შეიძლება გამოცემათა დაკვეთა და მიღება.

**გამომცემლობას აქვს საკუთარი სტამბა და საკაზმავი,** სადაც სრულდება ყოველგვარი საქმე **ჩქარა, სუფთად და ხელმისაწდომათ.** (10—2).

# „თეატრი და ცხოვრების" ხელის მოწერთა საყურადღებოთ

„ქართული ბეჭდვითი ამხან. გამომცემლობა უმორჩილესად სთხოვს „თეატ. და ცხოვრ." ხელის მომწერლებს დაჩქარებით მოგვაწვდინონ გაზეთის ხვ დრი ფული ამ ადრესით: თბილისი „ქართ. ბეჭდვ. ამხან." რუსთ. პრ. № 26 ვინც 20 ივლისამდის ხვედრს ფულს არ გადაიხდის, მათ გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.

რედაქტორი **იოსებ იმედაშვილი** გამომცემელი **ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა**

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ., № 26